

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 80

2020



მთ. რედაქტორი

## ანზორ ჯაფარიძე

მწერალი, საქართველოს  
მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საადას №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-887-8 (80 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპროს ვარსკვლავისა და მავიდოგის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესძიო ყოველ შებას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

შოთარიშვალის მაბიერ

(გაგრძელება)

ცნობილია, შეგრძნებათა საფუძველზე, საგნის აღქმა, რომელიც ობიექტური სინამდვილის თვალსაჩინო ასახვის უფრო რთულ და მაღალგანვითარებულ ფორმას წარმოადგენს. ადამიანი გარემოს განიცდის აღქმის და არა შეგრძნობის სახით. მთლიან პროცესში აღქმისა და შეგრძნობის ერთმანეთისაგან რეალური მოწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ აღქმა თვისებურად განსხვავედება შეგრძნობისაგან. აღქმის პირველ, ძირითად თვისებას მისი საგნობრიობა შეადგენს. აღქმის საგანი სენსორულ თვისებებში გვეძლევა, ე. ი. მასში გარკვეული თვალსაჩინო თვისებებია მოცემული – ფერები, შეხებითი თვისებები და მრავალი სხვა. სენსორული თვისებები საგნის აღქმის სენსორულ შინაარსს შეადგენს, მაგრამ



აღქმა არ წარმოადგენს მხოლოდ მოცულობას, არამედ მასში მოცემულია მისი საგნობრივი მნიშვნელობაც. საგნის დანახვასთან ერთად ჩვენ გვესმის, რომ ეს არის სახლი, ხე, ფოთოლი, ადამიანი და ა. შ. აღქმა გადიძიანების შეგრძნობა კი არ არის, არამედ საგნის შემუცნების თვალსაჩინო ფორმაა. აღქმა განიცდება, არა როგორც ჩვენში, პიროვნებაში მიმდინარე პროცესი, არამედ როგორც პიროვნებიდან გამოყოფილი, მისგან დამოუკიდებელი ობიექტი.

აღქმა კონკრეტული, ცოცხალი ადამიანის მოქმედებაა, რომლის პროცესში იგი გრძნობის სხვადასხვა ორგანოს იყენებს. აღქმის პროცესში ადამიანი არა მხოლოდ ხედავს, არამედ განიცდის, უყურებს, ესმის, აღიქვამს იმის ფარგლებში, რომელიც მას აინეტერესებს.

აღქმა ადაიანის აქტივობის, აზროვნების, გონიერების გამოვლენის ერთ-ერთი ფორაა. როგორც ამბობენ, მას ახასიათებს, „შერჩევითი“ ხასიათი. აღქმა გარკვეულ ფარგლებში, სიტუაციაში იცვლება სუბიექტის შინაგანი მდოგმარეობის, მისი გამოცდილების, ინტერესის მიმართების მიხედვით.



ადამიანის სურათი შესაძლებელია საინტე-  
რესო იყოს აღქმისათვის, მაგრამ შეიძლება,  
დროთა ვითარებაში, თანდათანობით შეიცვა-  
ლოს და ადვილი მოსალოდნელია ცვლილება  
აღქმის სხვადასხვა კონტექსტში წარმოგვიდგეს.

ცხოვრება როგორი და საოცარი სანახაო-  
ბაა, მაგრამ გარემოება რიგ სიტუაციებში ამ  
სირთულის, საოცრების ცხრაკლიტულში ჩაკვ-  
ტილი სეიფია. ადამიანისთვის აღქმა როგორი ცნე-  
ბაა, მაგრამ ამ ურთულესი ცნების გარკვევა  
უწინარეს ყოვლისა, ისევ ადამიანს შეუძლია.

წარმოდგინეთ და ნათლად აღიქვით ბავ-  
შვობისას დედას როგორ ეწვინეთ ხელებზე. დე-  
დას ხშირად უთქვამს თავისთვის: „ჩემი გადამ-  
რჩენელი შვილის სიყვარულიაო“. მართლაც  
ასეა, ქართველ დედას შვილის იქით ყველაფერი  
ავიწყდება, მაგრა შვილი რომ წამოიჩიტება  
ცხოვრება მას თავის გზით წაიყვანს, ხშირად  
მშობლებს რჩებათ შვილებზე ოცნება, დარდი,  
თვალთ მოწყვეტილი ცრემლი, ცრემლი სიხარუ-  
ლისა და ლოდინისა.

რატომ ხდება ასე? იკითხავთ გაკვირვებით.  
იმიტომ რომ ახალგაზრდებს უნდათ ატმის ტო-



ტივით ანთებული ნატვრის თვალის პოვნა სხვა  
სამყაროში. ისინი ფეხს აიდგამენ და წავლენ...  
შვილებს დანატრებული მშობლები კი თავის-  
თვის ჩუმად ბუტბუტებენ, – უთქვენოდ შვილები,  
სახლი უმზეო ცასა და უყვავილო გაზაგსულსა  
ჰგავს.

ასე იყო დოლბაიების ოჯახშიც, ცოდნას  
მოწყურებული შვილები ფუტკრებივით შრომობ-  
დნენ, სწავლობდნენ სკოლაში, სხვადასხვა სას-  
წავლებლებში თუ ინსტიტუტებში. როცა ისინი  
ჩამოვიდოდნენ და ერთად თავს მოიყრიდნენ,  
ოჯახში სიცოცხლე წყაროსავით ჩუხუჭებდა.  
ამის შემყურე –

... ყიოდა მამალი...

ცისკრიდან კი

რიერაჟი ქონავდა.

- გაიგეთ რა მოხდა დოლბაიების ოჯახში?
- ამ სიტყვებით სოფელს ჩამოუქროლა ნიავმა: 1941 წლის 15 მაისს, ოჯახს მეცხრე შვილი, თა-  
ნაც ვაჟი შეეძინა. ზღვამ ამის გაგონებაზე სიხა-  
რულის ტალღა მთის კალთებამდე ატყორცნა  
და აალაპარაკა.



მეცხრე შვილის დაბადებამ ოჯახ განსაკუთრებული სინათლე და სიხალასე შეჰქმატა. ტროფილიატით კოსტად შემოღობილი ეზოს მწვანე კოინდარზე, მტრედივით ჩამჯდარ მეგრულ ოდაში გაისმა მომავალი პოეტის ხმა, რომლის აღქმა, ალბათ, მშობლებს მაშინ არ შეეძლოთ. ან მაშინ ვინ იფიქრებდა ის პატარა ვაჟი მომავალში გამოჩენილი პოეტის და საზოგადო მოღვაწე რომ იქნებოდა. თუმცა მას პოეზიისადმი სიყვარულის ატმოსფერო ოჯახმა შეეუქმნა, როგორც იტყვიან, კედლები და კარ-ფანჯრები ლექსების სურნელით იყო გაჟღენთილი, თითქოს ჭაბუქს პატარობიდასწვე ზეციდან ჩაეხმა ხმა იღუმალი: –

„გეძახის შენი ცა და სინათლე,  
რა სანატრელი, რა საამო ჟამი მოვიდა.

მტვრევის ხმა გეხმის საკუთარი

სულის და ძვალის.

და ამოდიხარ მიწიდან და სიმყუდროვიდან...  
შენ ამოდიხარ...

ამოდიხარ ბალახის ბალით!



ღალად აფრენის მოლოდინში ჭაბულში სა-  
შუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, როს  
შემდეგ სოფლიდან დანახულმა სამყარომ ვერ  
დააკმაყოფილა მისი პოირზონტი. ბუნებრივია,  
თვალსაწიერის გაფართოების სურვილი აღეძრა,  
და... დადგა ჟამი განშორებისა, ვინაიდან მან გა-  
დაწყვიტა, თავისი სათქმელი თვითონვე ეთქვა:

„ამ ცისქვეშ ყველაზე ლამაზად,

ჩემს სათქმელს,

სხვა არა, მე ვიტყვი,

ჯანდაბას სკიპტრა და ტახტება,

მივიღივარ...

მივალ და მივიღიტვი

ცოტაც და... პოეტი გავხდები“.

ჭაბუქმა ბრწყინვალედ აღასრულა თავისი  
ჩანაფიქრი, თუმცა ყოველივე ეს იოლად არ მო-  
სულა. მან წვიმის კალმით დაიწყო წერა და ნა-  
წერი გაზაფხულს გაუგზავნა, რის შემდეგ, თუმ-  
ცა დიდი გაი-ვაგლახით, მაგრამ გაზაფხული მა-  
ინც მოვიდა. გაზაფხულის სიმშვენიერით აღ-  
ფრთვანებულს, არასდროს დავიწყნია მშობლი-  
ური სოფელი ხორგა და ბავშვობა. მისი ადამია-  
ნური ხასიათიდან გამომდინარე ამბობს:



„აქ ვიშვი... და აქეე მსურს დარჩენა,  
ღამეა მაღალი და თუთარჩელა.  
სიზმრებში ცურავენ

ბავშვები –  
მკერდზე მიკრულები დედების,  
მე ვდგავარ ჭასთან და,  
ჭაში კი არა,  
ჩემს ბავშვობაში ვიხედები“.

– დიდებულია, ჭაბუკო, ბავშვობის მოგონება, მაგრამ ხომ ხედავ? მოისმა ხმა ზეციდან – შენს ამ გადაწყვეტილებას ხანშიშესულმა მამამ სხვა კუთხიდან შეხედა, თავისებურად აღიქვა, მან ალალი გულით, მამა-შვილური სიყვარულით გთხოვა: დარჩი სოფელში, თუ არა შენ, აბა ვინ უნდა შემცვალოსო?! მაგრამ დედა წინ აღუდგა მეუდღეს, რადგან შვილი სოფლისთვის არ ემუტებოდა. უნდოდა მის შვილს შემოქმედებითი ფრთა გაეშალა და ლალად ეფრინა პოეზიის უსაზღვროებაში...

„ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა –  
ცა ვარსკვლავებმა გადაიქროლეს  
ოქროს ეტლების ცივი ციაგით,  
მწუხარში დამეძებს სიხარულის



თვალი მოხეტე,  
და მოწყალებით ღმერთო, მომხედე –  
ქართულ მიწაზე  
დგება ჩემი ხმის –

განთიადი“,

გასწი ჭაბუკო, სწორედ ასე უნდა აღიქვა  
მომავლის განთიადის ამოსაბრწყინებლად გა-  
დადგმული ნაბიჯი – გადმოსძახეს მთებმა. იგი  
დაემშვიდობა მშობლებს, ოჯახს, სოფელს, რაი-  
ონს და გაუდგა ქალაქისკენ – თან საკუთარ  
თავს შეუძახა:

„ამაღლდი, სულო!

სხეულიდან ამოაწიე!“

(გებდაუჭება მიწიერი, არამიწიერს)

და ღვთის საუფლო, უსამანო ლაჟვარდს  
გახედე!

(ეს სულერთია, სივრცეები გერთვის  
თუ ერთვი.)

და ამით უფალს თუ შესცოდე,

ამ „სითავხედეს“,

მაღალია და... შეგინდობს ღმერთი“.

ჭაბუკის ამ მტკიცე სიტყვების გაგონებაზე  
ნაკადულებმა გულიანად გადაიკისკისეს.

— ნეტავ რა კისკისებეთ? — ჩემი არ სჯერათ?.. გაიფიქრა გულდაწყვეტილმა ჭაბუქმა, მაგრამ უმალვე მოესმა ზეციდან საამური ხმა:

— ჭაბუქო, ნუ გეშინია

„შენ ამოდიხარ მიწიდან და სიმყუდროვიდან,  
ო, ამოდიხარ

ბალახის ბალით!“

— ბალახის ბალით?!“

— ჰო, ჰო, კარგად გაიხსენე მცენარეთა მნიშვნელობა ბუნებაში და მათი სახელები: ნეკერჩხალი, ბაბუაწვერა, არყი, ორკბილა, ოროვანდა. არ გინახავს მომწიფებული ნაყოფი ოროვანდის. მას შეუძლია ჩაებრაუჭოს ცხოველის ბალანს ან ადამიანის ტანსაცმელს და გავრცელდეს, ასევეა დაკბილულკაუჭებიანი თესლურა, აღვილად ეკვრის ტანსაცმელს. მისი მოცილება კი ძნელია.

— ო, ღმერთო, მე ვის, ვის ჩავჭიდო ხელი, რომ პოეზიით ცხოვრების ასპარეზზე გავიდე? — უმალ ჰკითხა ყმაწვილმა იდუმალ ხმას.

— მხოლოდ საკუთარ თავს!.. — ჩემი რჩევაა იყავ კეთილი, გულმართალი, გიყვარდეს ეპლესია, იკითხე სახარება, შეიცანი სიყვარული,



გახსოვდეს, იესო ეწამა ჩვენი სულების გადასარჩენად. ჩვენც იგივე უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენი ძმებისთვის. იცხოვრე რწმენით და ურთიერთსიყვარულით და, თუ ვინმე შეგხვდეს უმეცარი და ურწმუნო, ნუ დასჯი, არამედ რწმენა ჩაუნერგე და მაცხოვართან მოიყვანე. მუდამ გახსოვდეს დიდი ილიას სიტყვები: „ერს ერთი ხელი, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია“.

ჭაბუკი ჩაფიქრდა და თავისთვის ჩაიღაპარაკა – იცხოვრე რწმენით...

„მუხლი რისთვის გეღუნვის –

კოლხურ პანგის გამგონეს?!“

ეკითხება საკუთარ თავს, თან როგორც ქრისტიანი, ღმერთს ერთგულებას უფიცება:

„დიდება შენდა,

ღმერთო მაღალო!

შენს ერთგულ მონად მარად მოგულე...“

– ამინ, – ჩაესმა ჭაბუკმა ხმა ზეციდან. ნუ გეშინია, შენ რომ აიეტისა და ცოტნეს შთამომავალი ხარ. ამიტომ, ნუ შეჩერდები, ნუ შედრკები, გასწი წინ.



— ჰო, მართალია, მართალი — გაუელვა  
გულში, მე თუ არ ვიმარჯვე არაფერი გამოვა.  
საკუთარ თავს შეუძახა:

„წამოდექი, წამოხევდი —

— თორემ გამოგივა რა?!”

„თორემ გამოგივა რა?“ მართლაც ამას  
სწორი აღქმა და გაგება სჭირდება — გაიმეორა  
ნაღვლიანად. მერე გახედა სივრცეს, ხობის  
წყალს, მინდოო-ველს, ლამაზ ყვავილებს —  
ვარდს, მიხაკს, ტიტას, სუმბულს, ზამბახს, ას-  
ტრას, ზიზილს და იასამანს. მოენატრა მათთან  
ურთიერთობა. ხელით შეეხო თითოეულს, დაემ-  
შვიდობა...

— მიდიხარ? — ჩაესმა ჭაბუკს, თუ... მოეჩვე-  
ნა, მცენარეთაგან ზოგმა თავი დახარა, ზოგმა  
ნამის სახით წვეთი ცრემლი გადმოაგდო, ზოგმა  
ფოთელბი ააშრიალა...

— ეი, ოქვენ, ჩემო ლამაზმანებო, არ მიშ-  
ვებო?

პროტესტის ნიშნად ყველამ ერთდროულად  
უპასუხა არა, არა!..

„აპა, ოცნება ცისკარივით ისევ ამაღლდა,  
რადგან მიწაზე უცებ შეცივდა.



ლაუგარდ სიმაღლის სიყვარულში მოდი,  
დამინდეთ,  
და შებლუეჭმუხენილ წყნარი ზეციდან –  
ჩემი ჩამქრალი გარსკვლავები ერთად  
ამინთეთ“.

– მესმის, მესმის ეს პროტესტი მხოლოდ  
თქვენი ჩემდამი სიყვარულითაა ნაკარნახევი,  
მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ხმელეთის ზოგიერთი  
მცენარე, კერძოდ, მურყანა ხშირად იზრდებოდა  
მდინარის პირას, მისი ნაყოფი ცვივა მდინარეში  
და მიჰყება წყლის ნაკადს, მერე სადმე მიწაზე  
მოხვდება გაიხარებს, ქოქოსის პალმის ნაყოფი  
კი კუნძულიდან კუნძულზე ზღვის მიმოქცევას  
გადააქვს. ზოგიერთი მცენარის ნაყოფი და ოეს-  
ლი ამა თუ იმ ტვირთს ეკვრის და სულაც ერთი  
ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში ხვდება. გადმოტვირ-  
თვის დროს თესლი შეიძლება მიწაზე დავარდეს  
და აღმოცენდეს.

მართალია, აქ დავიბადე და გავიზარდე  
თქვენს შორის, მაგრამ ნუ გეწყინებათ, თუ,  
სხვაგან, უფრო იხარებს ჩემი ცხოვრების ხე,  
რომელსაც პოეზიის სურნელება და სითბო  
ჰქვია. – გამიშვით! მე ვერ გპირდებით როგორც



პოეტი, ვარსკვლავების მოწყვეტას, მაგრამ ყოველი ამაღლება, დიდება, გაწყვეტაა ქანცის, შემოსაზღვრული ბალახების ფესვთა ფარგალით.

პოი, ყვავილნო, ბალახნო, ხენო! ცეროდენები მეგონეთ დღემდე, თურმე რა დიდი გული გქონიათ, — მოვა დრო და მეც დიდი სიყვარულით მოგეფერებით, ერთბაშად შეიძლება ყველაფერს ვერ გავწვდგ, მაგრამ თქვენ ხომ იცით ოცნების ფრთებით ნაფარფატალი არა ვარ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, გზა დამილოცეთ თქვენს გვერდით გაზრდილს. ვდგავარ და ყურში ჩამესმის ზღვის გუგუნი, უბელო ცხენივით ჭიხვინებს ჩემი გული და მიისწრაფის მწვერვალებისკენ, გამიგეთ, გთხოვთ, ნუ შემაჩერებთ... ჩემი წასვლა აღიქვით სავალდებულოდ.

„ჩემს მებრძოლ დღეებს, ვით დაცემულ  
გმირ ჯარისკაცებს,

მე აღვუმართავ ერთგულების მაღალ  
ობელისკე

და მარადიულ ნათელს გპირდები...  
რადგან რწმენის ცა —

ჩაუქრობელი —



იმედებით და ვარსკვლავებით

კვლავ იპვირტება“.

ამის გაგონებაზე თანხმობის ნიშნად ფო-  
თოლთა შრიალი მუსიკის ჰანგებად გადმოიღვა-  
რა. ღმერთმა დაგლოცოს. გზა მშვიდობისა, ჩა-  
ესმა ჭაბუქს.

„ – აჲა, მიწყნარდა დაღადისი

შემოღამების

და უკაცრიელ სიმყუდროვეში –

დაინგრა ვანი –

სიმყუდროვის

და სულს უხარის...“

მიდიოდა და მზის სხივები კიაფობდნენ მის  
თვალებში. ეს გრუზათმიანი ბიჭი კოლხური იქ-  
რით, მებრძოლი სულით, სოფლის ბოლომდე  
რომ მივიდა მის ტანსაცმელს ჯერ ვარდის ეკა-  
ლი წამოედო, ხოლო შემდეგ გვიმრა.

ჭაბუქმა ვარდის ეკალს გაკვირვებით შეხე-  
და, განაკაწრიდან სისხლის წვეთი დაინახა, გა-  
იკვირვა, რადგან სისხლის წვეთი სხეულზე არა-  
სოდეს ენახა, გული აუზუყდა, ეწყინა. რატომ,  
რისთვის?.. შენ იცი თუ არა ვარდის ეკალო!..



„თბილისს ქალაქს, ჩემი სოფლის  
მიმაქვს ვარდი,  
ვით ბაგშვობის სახსოვარი,  
და შუკასთან ეკალ-ბარდმა  
                        მტაცა ხელი,  
თითქოს მითხრა: გახსოვარო?!“  
დაღონდა ვარდის ეკალი. მისი დაკაწვრა  
გულში არც გაუკლია, ალბათ შემთხვევით...  
— ეხ, ვარდის ეკალო, ვიცი ცხოვრება  
ზღვაა, მე შეიძლება ქაფი ვიყო, მაგრამ ასეთი  
გამოუცდელი ჭაბუკი ამ ვეებერთელა წუთისო-  
ფელს მაინც იმედის ძაფით ვკემსავ და ვკემსავ  
დღისით და ღამით. შენ კი ხელს მიშლი და  
მკაწრავ. არ იცი განა კოლხი რომ ვარ, ჩემს  
ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს, უნივერსა-  
ლური დონორი ვარ. ტყუილუბრალოდ ჩემი სის-  
ხლის დაღვრა დანაშაულია.  
— შენ უფრო მეტი დანაშაული გაქვს...  
— გინა ხართ? — ჰეითხა გაპვირვებულმა ჭა-  
ბუკმა.  
— ვერცა მცნობ?!.  
— ჭაბუკი შეეოვნდა, თავისთვის ჩაილაპარა-  
კა — ნუთუ ისაა?



— დაიშრიტა ჩემი გული... სიყვარულით მოკვდა...

— ცირა, შენა ხარ?

— დიახ, — იყო ნადვლიანი პასუხი.

— ო, ღმერთო ჩემო! — ადელვებით თქვა ჭაბუქმა.

— შენი სიყვარულით ვიწვი, შენ კი იმედსაც არ მიტოვებ ისე მიდიხარ. — გაიხმა ნადვლიანი ხმა.

„შენმა ტრფობამ სიხარული  
შემიმცირა,

სად წავიდე, რა ვიღონო,

მითხარ, ცირა!“

— ჩემო კარგო, სამარადისოდ ტანჯვა მარგუნე, არა? — მორჩა გათავდა, აღარ ველი შენგან წყალობას...

— ცირა, ჩემო უტკბილესო, ჩემო დღეთა ნათებავ, მთელი ჩემი არსება შენსკენ მოემართება, გამიგე გოგო, სადაც არ უნდა ვიყო, ასე მეგონება მეფერებიან შენი ფიფქივით მოქაოქათე თითების სისპეტაპე და სიწმინდე დამენახე სადა ხარ, რად მემალები?

— ვითომ გენატრები?! — უთხრა ირონიულად.

— განა ეს საეჭვოა? თქვა და მიიწია ვარდის ეპალისკენ და რას ხედავს! ეპლის ნაცვლად გოგონას გამოსახულება აღიქვა ჭაბუკმა, მერე მშფოთვარე გრძნობით ოცნებაში წარმოიდგინა — აპა, ამ წმინდა ლანდს ფიქრისა და სიყვარულის ხელი შევახო, მაგრამ... გაუქროლა რემამ ღრუბლების და...

„უნდომ, უღვთომ,  
უგულომ,  
ათას ქარში ნარწევმა  
უამმა,  
ისევ წაშალა  
სიყვარულის  
წარწერა.“

**თათა ლილსპურელი**  
**ნაწყვეტი წიგნიდან — აღქმა ანუ**  
**საოცრებათა სამყაროში**

გაგრძელება შემდეგ ტომში



## ჯვარი

მცხეთა იმას უნთებს სანთელს,  
გინც პირველმა უფლის რწმენით.  
ქართვლის სული მზედ – აზიდა.  
და ქართლს ჯვარი გადასწერა –  
ჯვარით,  
ღვთიურ ზედაზნიდან.

1969

## პოლნეთი და შავი ზღვა

ვეხი ერთად აიდგეს  
და ერთადვე ხვდებონენ,  
უამთა მსხვრევას  
და რისხვას.  
ვით მეფე და ვეზირი –  
კოლხეთი და შავი ზღვა,  
ერთურსაა შეზრდილი.

1959



## ჭორი

მეტეხ-პალასიდან წუხელის,  
მინისტრს გაჟყოლია ლამზირა,  
ის ძაღლთაპირი და

უხულო.

თბილისის ქუჩებს და გამზირებს  
ჭორი კვლავ მოირბენს  
სუნსულით.

1983



## სამყაროს დიდი ფიგნი

წარლგნამდე თუ წარლგნის შემდეგ,  
ჩვენი დედამიწის ირგვლივ,  
ყოველივე ჩანს უცვლელი....  
მწამს,  
სამყაროს დიდი წიგნის –  
კოლხეთია –  
თავფურცელი.

1987



## შენი თვალები ელგაა

პონტოს სანაპიროზე მცხოვრებ

შენს დიდი წინაპრებს,

მუდამ ჰქლავდათ მტრის ჟინი,

რადგან მტერი მუმლივით

თავზე მუდამ ეხვიათ.

შენ გავხარ შენს წინაპრებს:

ხმლით,

ფარით და ყიჯით,

შენი თვალი-ელვაა,

და შენი ხმა – მეხია!

1991



## 0სემ არაბივი

ცივ მყინვარებში დაუტევარი,  
ვით ბუმბერაზი მოების სული,  
ბარად იურვის,  
და როცა ნახავს სვეტიცხოველს,  
ჯვარს და სამთავროს,  
ჯვარს გადაიწერს და...  
იქ, მოკლე ყოფნას ამთავრებს,  
რომ მტკვარში პპოვოს გზა დიდი  
და მარადიული.

1974



\* \* \*

(გარიანტი)

ორთაჭალის ბაღებიდან –  
ნიავს მოაქვს ხმა საარის.  
ნანგრევებში მკვნესარ კალას,  
ხელზე უწევს გორგასალი.  
მეტეხთან კი თბილისს  
მტკვარი, –  
ჩაუბდუჭავს გორდასავით.

1979



## გეასა და შრანოსს

თვალნისლიან სივრცეებს,  
უფლის ვნებით შემოსილო,  
ეფანტებათ ბურანი,  
შუბლს უკოცნის ეოსი,<sup>1</sup>  
გეასა<sup>2</sup> და ურანოსს.<sup>3</sup>

1966

---

<sup>1</sup> ეოსი – განთიადი.

<sup>2</sup> გეა – მიწა (დედამიწა)

<sup>3</sup> ურანოსი – ზეცა.



\* \* \*

ღვიძლის საკორტნელად მქროლავ

არწივს,

მე ვერ დავკოდიდი,

ხელთ, რომ მშვილდი არ მჯეროდა.

მოებს რომ ასდის,

ნისლია თუ

პვამლი ბოლავს,

ჰეთქსტოს ძველ სამჭედლოდან?!?

1969



## ჰეგატეს ფამართან

ტკარცალებენ ნიმფები...  
და ჰეკატეს ტაძართან  
ისმის ქალის ჩურჩული:  
„...ღმერთთა დედას – ცას,  
მიწას –  
გვიცავ, –  
კოლხეთს მშობლიურ,  
ჩემს უდიდეს საფიცარს“.\*

1971

---

\* მედეას ფიცი დასთან – ქალფიოპებთან.



## აპიბო ნეპრესელი

ქრისტეს ოწმენით ნაკემსი,  
ქართლში ურჯულოებმა,  
ცეცხლით ვეღარ შეკემსეს,  
და ვერ ჰპოვეს მოკეთედ,  
მიტომ თავი მოკვეთეს –  
დიდ აბიბო ნეკრესელს. (IX ს.)

1979



## იოანე ზოსიმე

„დამარხულ არს ენაი!“ –  
მოთქვამს ბერი ზოსიმე,  
გამკითხავი ვინ არი?!  
მიპქრის უამთა მდინარე,  
არის ენა ქართული –  
„დღესამომდე მძინარე!!!“

2006



\* \* \*

ლექსი,  
მთვარის ბორბალივით,  
წყალში გაუგორებია,  
თუ სიყვარულს –  
არ ამკობდა.  
პოეზია არასოდეს,  
ქართველს არა ჰგონებია:  
„სპარსო ზღაპარად და  
არაკობად.“

1997



## ტაო-კლარჯეთში

წევად ტაო-კლარჯეთში: –  
მე ვარ ამის მოთავე  
და შატბერდის ლავრაში  
ვზივარ, ვით მიქაელი\*  
და არ მყონფნის ჰაერი:  
მიხმობს „ოშკის ბიბლია“  
და „პადისის ოთხთავი.“

1979

---

\* მიქაელი – შ ტბერდის მინისტრის კალიგრაფი.



## მე გამითვალეს კოლხეთი

ნატვრის ხედ მდგარი ზღვისკარად,  
მე გამითვალეს კოლხეთი!  
და „ჯადო“ როდესაც ავხსენი,  
ავსულმა წამსვე მოკურცხლა...  
როცა მე აიეტს –  
გახსენებ,  
ფერი ემატება კოლხურ ცას.

1962



## პარგილი და პოგლანი

წარლგნას გადარჩენილი,  
 ვით უდაბნოს ქარბუქი,  
 წარსულიდან მომბდავის:  
 ყვირსტგირი<sup>1</sup>, ჭუნირი,<sup>2</sup>  
 ბარბითი<sup>3</sup> და  
 ნარბუკი,<sup>4</sup>  
 ქოხი,<sup>5</sup>  
 ქნარი,<sup>6</sup>  
 ლარჭემი,<sup>7</sup>  
 ნესტვი,<sup>8</sup> მუღნი,<sup>9</sup> ბობლანი.<sup>10</sup>

1962

---

1,2,3,4,5,6,7,8,9,10 – უძველესი სიმებიანი საკრავები.



\* \* \*

დემონივით შავზე შავი ღრუბელი,  
სივრცეს წამლავს წვიმის  
შხამ-სამსალათი.

და ზღვა მოჰვავს კალათბურთის  
მოედანს,  
სადაც ქარი, ზვირთთა ბურთებს  
შორიდან  
სტყორცნის მიწის კალათში.

1959



\* \* \*

ვინ იცის როდის...  
ამირანძა ზევსს რომ მოსტაცა,  
იმ ღვთიურ ცეცხლის გბუგავს  
ალმური.

სახეზე გადევს ფერი ენძელის.  
აჰა,

„კოლხური ფსალმუნები,“  
ჩემო მამულო!

მოგართვი.

მეტი ვეღარ შევძელი.

2001



## ჩითილი

ჯერ პატარაა,  
მაგრამ მშვენიერს,  
დაკიდებული ელანდება  
ტოტზე მზის გული  
და პამიდვრის მწვანე ჩითილი,  
თუთის კანდამსკდარ სარზე  
                    მიბმული,  
აფრენას ლამობს დამფრთხალ  
                    ჩიტივით.

1998



\* \* \*

პრეისტორიულ ბილიკს გავყვები –  
დექსით,

წურჩულით,  
და ლაპარაკით:  
კოლხეთის წარსულს –  
მომავალში გადმოვასვენებ  
და აღუვლენ

ძვირფას პარაკლისს

და...

მოვისვენებ....

2007



## ქარი, ზღვა, მზე, სიცხე

ყალყზე დგებიან ზვირთთა რაშები  
და ზღვის დარბაზი,

ისე ზანზარებს,

ვითარცა ველი მულდაზანზარის  
ან ვით სამგმირთგან

ქაჯეთის ციხე.

მზე ცეცხლს უკიდებს როგორც  
ხაზარი

ქართვლის ცასა და...

დასავლით იხევს.

1989



## სოფრომ შატბერძი

— ჩემი ენა ქართული,  
რომ არასდროს დაბერდეს,  
მივაშურე სინას მთას  
და მზემ უფრო ინათა —  
უთქამს —

სოფრომ შატბერძელს.

1969



## პოლიტიკური და დიონისები

პოლიტიკურ ლეგენდებით მთვრალი,  
ვეძალები დვინოს ისევ,  
და სტუმრად მყავს ზევსიც,<sup>1</sup>  
ჰერაც,<sup>2</sup>  
პრომეთეც<sup>3</sup> და დიონისეც,<sup>4</sup>  
ხმას უწყობენ –  
ჩემს სიმღერას.

1963

---

1,2,3,4 – მეცნიერ მაკლევართა ცნობით (მ. წერეთელი, ი. ურუშაძე, თ. ყაუხჩიშვილი, რ. გორდეზიანი, გ. ჭელიძე და სხვ) ისინი კოლეჯისად მეტყველებდნენ.



## აქ, მცხოვრისთან

აქ,

მცხოვრისთან გორგასალმა,

მტკვარს მტკაველი დატოლა...

(ხოხობი კი ხმობდა დილას.)

ცა მალავდა ნისლის სახეს

ნაბატონარს

და მთიებით ნაყვავილარს.

1964



## სახებსა და სანიგენს

ვიცი მთვარის ტოლია,  
მაგრამ თავს იმძინარებს.  
მწამს ჩემს ძახილს გაიგებს.  
ვეძებ ანატოლიას,  
და ვეძებ შუამდინარეთს:  
კოლხურ ტომთა ნაშიერს –  
სანებსა და  
სანიგებს.

1959



\* \* \*

გით დამბახა გაგირჭვია

წელზე ცული,

ნუთუ ეს შენ!

გაგი,

ძია!

რომ ეს თუთა, ეს თვალშავა –

მოგიკლავს და მერე ტყავი

გაგიძღია,

ნეტავი რა დააშავა?!

1954



## პველი პოლიტიკი

ცეცხლის მახვილით ჩაუვლიათ  
ათასწლეულებს –

ცივს და შუღლიანს  
და შერცხვენიათ უკან მოხედვის.  
ბებერ უამს თვალში ჩავარდნია  
ძველი კოლხეთი  
და დღემდე ვეღარ ამოუდია.

1963



## პეტა – 1993

ერთხელაც ცხადში,  
მძინარეთ,  
ცუდი სიზმარი აყვათ და....  
ცეცხლი ეკიდა მძვინვარე  
„მათ დედაქალაქს აყვას“ და...  
მიპქონდა მტრობის მდინარეს –  
რაც ათასწლობით აყვავდა.  
– „ძმები ვარო!“ –  
ხმა გამჟიგარი  
წყალს უდაბნოსი ნაყავდა...  
ტიროდა ბერი მყინვარი,  
მოზარე არვინ არ ყავდა!!!

1993

\* \* \*

პონტო ზვირთთა შეკრულ მუშტით,  
გამორბოდა ფეხშიშველა,  
(კოლხეთი როს ამიოხერეს.)  
და უხმობდა ხსნად და  
შველად:  
განრაღებს<sup>1</sup> და  
ბიძეროხებს.<sup>2</sup>

1993

---

<sup>1,2</sup> – ძველი კოლხები (ქართველური) ტომები.



## 0ქვებ გაჟას შველია

კლდიდან ისმის ყიპ-ყიპი!  
თვალი ცისკენ უპყრიათ,  
მშიერ ქულებს ამ ორბის.  
უჭირს და არ შველიან,  
იქნებ გაჟას შველია,  
და ან მისი ნუკრია,  
ბილიკი რომ ჩამორბის.

1963



## გოლგოთის ცა

რაც წლები გადის –  
გოლხეთის ცა სიშორეს  
ბარდნის,  
მე კი ფიქრების ფარდალალა  
ფაცხაში ვწევარ,  
წამით არ ხუჭავს თვალს –  
უშქარი დამეთა თევა.

და სადღაც მოგლემარ დიდ კოლხეთზე  
გულს უკლავს დარდი.

1957



\* \* \*

გადათოვლილი ჩანს მწვერავალები...

ხევდახევ სადღაც მიდის

ქარ-ცივი.

მიაქვს ფოთოლი შემოდგომის,

როგორც წერილი.

ხობის წყლისპირას მთა დამდგარა

ბერიკაცივით

და მოუშვია ნისლი წვერივით.

1959



## კოლეგია – პედაგოგის – ეტრუსპებს

ლეგენდები კოცონბევ –  
ბევრი ათასწლეული  
შებოლე და შეტრუსე  
და გზები გაილამპრე.  
ხედავ შენს დიდ წინაპრებს:  
კოლე –  
პედაგებს –  
ეტრუსკებს.\*

1964

\* ეტრუსკები თავაიანთ ენაზე რელიგური დამწერლობით თხავდნენ სიმღერებს ოურმჟ.



\* \* \*

დღე და ღამის შუა,  
ვით მეზობლისას,  
გადებულია მთოვარის ბოგა  
ან, ვით ჩორქილი ძელქვის  
ფიცარი.  
ეს ცა და მიწა, ვით ტყეპისცალი,  
ერთმანეთს მოჰგავს.

1960




## შენ ხარ სარანგი

ვერ შეგაშინა რისხვამ ტიტანთა,  
შენ პოეზიის ზეცა  
დარაგვე·  
დაამხე ხმები უამური და  
უსასური.  
ქართველ მგოსანთა შენ ხარ  
სარანგი,  
სხვა დანარჩენი არის მსახური.\*

2005

---

\* სარანგი (სპარს.) სარდალი



## მცხეთასა და გაგინვეთის

გადმომდგარი ჯვარიდან –  
მზერით ვეალერსები:  
მცხეთასა და ბაგინეთს.  
და... მათ დამაქცევარებს,  
მიწაში არ ვასვენებ,  
მკვდარს და ცოცხალს  
ვაგინებ...

1970



\* \* \*

მეხის ხმით და ელვის ხელით,  
ზეცა ტანზე შემოიხევს –  
ვარსკვლავების ჯავშან-თორანს.  
მთვარეც შიშით შემოიხევს –  
შავი ღრუბლის  
ანაფორას.

1989



## ათას... ათას... წლეულებად...

ჟამთა რკინის კედელია,  
(განა დიქტის ტიხარია!)  
სადაც ასთა და ათასთა  
წელთა არის წვეულება.  
და მე გულით მიხარია,  
რომ კოლხეთი ჟამმა დაჭყო.  
ათას...

ათას...

წლეულებად.

1964



\* \* \*

როს გახსნის კლდეთა დარაბებს  
საცალფეხო და

გზა-წვრილი,  
მაშინ იხილავს ხევსური:  
ფეხზე დამდგარ მთებს  
არაგვი,  
ხელთ, ვით უჭირავს ყანწივით.

1993



## ეყოფოდა იმპერიას

ჩემო ვაუა ეგრისელო! –  
შენი დროშა მზისფერია,  
შენი ციცქა  
კოლხეთისთვის,  
რაც რომ გულით გიმღერია,  
საქართველოს კი არადა,  
ეყოფოდა იმპერიას.

1999



ვოთი – 1993

ტალღად თუ ზღვად დამხრჩალი  
სული ლაზის,  
რომ მოადგა ნაპირს  
ფოთთან.

მან დატოვა ეს ქვეყანა  
სულ ლამაზი  
ახლა ნახა და...  
შეშვითდა.

1993



\* \* \*

სამოთხიდან ისევ უხმობთ –  
გშობლიური მიწის ჰანგი,  
მიჰყვებიან გზას ტიტველი:  
ნაცარქათამა<sup>1</sup> და ჭანგა,<sup>2</sup>  
ძურწა,<sup>3</sup>  
ბალბა,<sup>4</sup>  
მატიტელა.<sup>5</sup>

1997

---

1,2,3,4,5 – ბალახებია.



\* \* \*

დრუბლებივით ნაზამთრალი –  
ეს ტყეები და მინდვრები,  
გაზაფხულის სიმწვანეს  
და მთები კი  
ბილიკების  
ნაწილებს კვლავ გიწნავენ...

1987



\* \* \*

როს დასალიერთან მზემ ფრთები  
დაკეცა,  
ღრუბლები ზეცაში გოდებად აიჭრნენ.  
შორიდან ისმოდა ხმები  
სულთმობრძავთა.  
უეცრად გაიღო ზღვის ლურჯი  
კარიბჭე,  
მისი უდიდებულესობა –  
გრიგალი მობრძანდა.

1978



## ენგზრთან

კოლხური მთვარით მოსილები –  
ჩემი წინაპრების ლანდებია,  
ენგურთან წუხილით რომ  
დადიან...  
ვჭვრებ: ჩიქვანს,  
ჩიჩუას,  
დადიანს –  
მჭვენვარეთ და სახე დარდიანთ.

1992



\* \* \*

ზღვიდან ამოდის სულ შიშველ-ტიტველი  
ტალღა და კენჭების კბილებს  
აკაწკაწებს და იცინის.  
და იქვე ნაპირთან –  
ბოლთასცემს,  
სახეგალუჯებული  
სიცივე.

1967



## რაღაა მსე საწუთო

პეთილ ღვთისშვილთა სულები,  
სიკვდილს სურს  
დაისაკუთროს  
და მერე ერთად მოსრას.  
რაღაა ესე საწუთო! –  
მარტო წასვლა და  
მოსვლა.

1993



\* \* \*

ჩაწენარდა ქარი და ქაოსი,  
და გადიყარა ცამ ნისლი.  
ამქვეყნად ჯამს მთვარის  
ამოსვლის,  
ხატი და მსგავსება თავისი, —  
უფალმა კოლხეთში  
ჩამოსვლა.


1990



## ეპსტატი მცხეთელი

როდესაც ქრისტე იწამა,  
ალაპს,  
მიუხურა კარის;  
დატოვა მტერიც და მოკეთეც.  
სპარსებმა თავი რომ  
მოკვეთეს,  
მცხეთასთან ატირდა მტკვარი.

1969



\* \* \*

კოლხეთის ცის ლამაზ სახეს,  
სულ ეყარა მნათთა ჭორფლი,  
უმშვენბდა ყელს საწმისი.  
შენც ვერ პპოვე წუთისოფლის,  
ვერც სასრული,  
ვერც საწყისი.

1989



ალექს

\* \* \*

შენ სულ სხვა ხარ!  
ქვეყნად მოსკლიოთ,  
ცაზე მძიმე ცოდვა გადევს!  
ლეგენდებით მობიბინე –  
ათასწლეულები თიბე  
და შენ უფლის ნებით  
გადე –  
ზღვაში – ხიდი,  
ცაში – კიბე.

1997



## ხევსურეთის მთებში

ღამის წყვდიადში თხრიან საფლავებს –  
ავისულები და  
მაცილები,  
და სმები ისმის ნიჩაბ-ბარების...  
არაგვი ცოცხლად რომ არ დამარხონ,  
მთები მცხეთამდე მოაცილებენ,  
მერე დედა –  
მტკვარს ჩააბარებენ.

1998



\* \* \*

ჩემი კოლხური ცით გადამოვრალი,  
და მათრობელა მზით

გალეშილი,  
ისე, ვით ჩემი მამა და პაპა!  
ზღვის მსუსე ჰაერს  
ოჯალეშივით,  
ვიგემოვნებ და...  
მერე გყლაპავ.

2000



\* \* \*

ტანთ მივლის, როგორც არავი<sup>1</sup>,  
სოფლის ძველ სასაფლაოზე –  
ჯვარი დამჯდარი  
ინახად.

შიშიც მდევს დაუფარავი:  
წასული ბევრი მინახავს,  
დაბრუნებული არავინ.

1990

---

<sup>1</sup> არავი – სამხრეთის ქარი.



\* \* \*

ქრისტემ მიწაზე,  
შენ კი ცაში იხეტიალე  
და შეგისრულდა ოცდაცამეტი  
წელი,  
ფიქრებით ღამის მთეველი.  
და გსურს დალაშქრა  
ახალ პლანეტის,  
ცოცხალ არსთა აზრმიულებობელის.

1972



## თარი თარალე

შუმერები –  
 კოლხები,  
 ისევ ისე მდერიან –  
 უშგულსა და კარალეთს:  
 „რე!“  
 „აია-მიშლადედი<sup>2</sup>“  
 „ბარ-ბარ<sup>3</sup>.“  
 „თარი-თრალე<sup>4</sup>.“

1969

---

<sup>1</sup> რე (შუმერ.) – მზე.

<sup>2</sup> აია – მიშლადედი (სვან.) მზის დღე.

<sup>3</sup> ბარ – ბარ

<sup>4</sup> თარი-თარილე – (შუმერ.) ცისა და ქვესკნელის  
შემდეგ.



\* \* \*

შავ-შავ ღრუბლების ბელტები  
ყრია და  
ცაში ვეღარ ეტევა.  
და დამე — სამარის პირია,  
სადაც ჭირისუფალი  
მთიები,  
ჩემი კოლხეთის —  
წარსულს დასტირიან.

1971



## სიცოცხლის ყანა

აქ ბიბინებდა სულ პირველად  
ყანა სიცოცხლის,  
უფლის ხელით და მზით დათესილი  
და მოსავალი აჰა,  
ართქმული: (7,000,000,000,000)...  
და მიტომაა პონტო ვექსინის –  
ზღაპრულ კოლხეთის ფეხქვეშ  
გართხმული.

1972



## ლოდი მნგშრის პირას

ცად აზიდულან მთები სვანეთის,  
ამ სილამაზეს –

სულ სხვა პეტი აქვს,  
თუმც კნებამ ტრფობა  
დაალაქავა.  
ვაჟს ქალის ცოდვა წამოეჭია და...  
გააქვავა.

1967



## შ060 ან-თარი

უხსოვარ დროიდან –  
წუთისოფლის შარაზე,  
სიმღერით და თამაშით  
მიდის: ჟინი ან-თარი,<sup>1</sup>  
აია<sup>2</sup> და შამაში.<sup>3</sup>

1966

---

<sup>1</sup> ჟინი ან-თარი (მეგრ.) ცის ღვთაება.

<sup>2</sup> აია – შუმერთა (იგივე, კოლხთა) ქალ-ღვთაება.

<sup>3</sup> შამაში – შუამდინარული ღთაება.



## პლიტე მესხეთში

მეხის ხმაზე ნაპრალები,  
ცეხდასხლეტილ წყალს  
აჩქარებს  
პლიტე დგას, ვითა მეციხოვნე.  
და მტრის მომლოდინეს,  
ციხე,  
თავზე ხურავს, ვით ჩაჩქანი.

1997



\* \* \*

ყალყზე მდგარ ზვირთთა ისმის  
ჭიხვინი,  
ახლა შავი ზღვა მიაგავს ტროას.  
ყულევთან ნაპირს მოადგა ტალღა  
შორიდან მოსულს ეტყობა  
დაღლა,  
რომელსაც ალბათ,  
კოლხ მედეას  
ამბავი მოაქვს.

1976



## ქარდუს ტაძრები

დიდ ხელმწიფე შულმის<sup>1</sup> და  
იშმედგანის<sup>2</sup> ნაგები,  
მრავალ ათასწლეულებს  
ისვე ისე გაძლებენ –  
ხსოვნაში და წარსულში  
მდგარი ქარდუს ტაძრები.

1978

---

1 შულმა – ქარდუ (ქართუ. მეგრ.) ხალხის მეცვე XIX ს.  
წვ. წ. აღ.

2 იშმედგანი – ქარდუს მეცვე (II ს. წვ. წ. აღ.)  
ლურსმული ოთხი ფირფიტა №2. 5. 4. 0)



## საქართველოს უდგას დარაჯად

ამირანივით, მთებმა კლდეებს  
მიჭაჭაჭულებმა.

შავი ღრუბლების ყვავ-ყორნებთან  
დიდხანს იომეს.

და აი, ახლა,  
მყინვარწვერი ნისლში  
არა ჩანს,  
მაგრამ ვიცი, ვით კავკასიონი,  
ჩემს საქართველოს უდგას დარაჯად.

1992



## ნაპირზე ყრია ქარიშხლის ბრაზი

შავი ზღვა —  
კოლხთა არის წარსული,  
შორით თოლია აფრად ჩანს  
ლაზის.

მზე იძირება ვითარცა ჰელე  
და ზეცას უწვდის საშველად ხელებს,  
ნაპირზე ყრია ქარიშხლის ბრაზი.

1972



## ცა და მოვა

მიწა ცაზე ლოცულობს,  
უფლის შიშით მოცული.  
თვალებს მაღლა აპარებს:  
ქართლში „ატენური“ და  
კახეთში „მუკუხანი“  
ცა კი სამაგიეროდ –  
კაპლის სიმსო სეტყვას და  
ჭექა-ჭუხილს უგავნის.

1987

\* \* \*

ძველი ათასწლეულები,

სისხლით,

ცრემლით,

ზაქვიანად,

გაყვნენ დღეებს ქარ-წვიმიანს.

და, შავი ზღვა,

ზღვა კი არა,

კოლხთა სულის ნაწილია.

1960



\* \* \*

პირველმხილველო სამყაროს,  
რადგანაც დღემდე მოხვედი,  
აწი მე უნდა  
მოგხედო.  
ათასჭირს გადანაყარო:  
ვავ,<sup>1</sup>  
ვიავ,<sup>2</sup>  
კოლხეთო.

1962

---

<sup>1,2</sup> – ძველი კოლხეთის სახელწოდება.



\* \* \*

რომ არდაემხოს სამყარო  
თავზე,  
მთებს,  
მზე ჰყავთ თავმდებად.  
ცა ვარსკვლავებით ირწყვება...  
თქვენ თუ გგონიათ ჩემი გზა,  
იმ მცირე ბორცვთან თავდება,  
არა!  
იქიდან იწყება.

2007



\* \* \*

ტანზე აცვია ღრუბლების ძონძი  
ზღვას და ქარიშხლის  
მანდილი შვენის.

და ზვირთთა რქებით დეგსა ჰეგვს  
ბაყბაყს,  
რომელიც ჩემთან ამოდის ქშენით,  
მესაუბრება რაღაცას ცალყბად.

1984



## ჩხოროჭყუ, ჩხოროდალ, ჩხორთოლი

პროფ. პაატა ცხადაიას


ცრემლივით სუფთა და სპეტაკი,  
მთრთოლვარე, ვით მუხის  
ფოთოლი,  
ვთვალე და, მაინც ვერ დავთვალე:  
ჩხოროწყო,  
ჩხოროდალ,  
ჩხორთოლი –  
ცხრაწყარო,  
ცხრა ღელე,  
ცხრათვალი.

2003

## არაგვი მცხეთასთან ზამთარში

ხახამშრალმა უდაბნომ  
გითარც ყარიბი არაბი,  
მთამ ნუთუ ასე დარაგვა,  
რომ მცხეთის კართან არაგვი  
არაგვს —  
არაფრით არა ჰგავს.

1968



## ხილვა: ამამონები

ბიძებთან ბრძოლით გართულის,  
ყივილი მესმა ფრიდონის.  
შიშველი ტალღა ნაპირთან,  
მეჩვენა კვლავ ამამონად.  
ზღვის მობიბინე მინდორი,  
გრიგალმა წამს გადაძოვა.

1972



## ცა როდესაც ჩაახველეს

მოწმე არის მაღლით მნათი:  
არ ასვენებს ქარს ზღვის ჟინი,  
ცა, როდესაც ჩაახველებს,  
გრიგალსაც სურს ზღვა გიუივით,  
ქაფის ვერცხლის წერილთვალათი,  
მიაჯაჭვოს ჩუმად ხმელეთს.

1987



\* \* \*

დამის ცით გადმოვლენილი  
ცეცხლი,  
წყალი და ჰაერი,  
რწმენას განა თმას შეჭრიდა.  
სამყარო სულ სხვანაირი –  
ჩანს ჩემი დიდ  
საჭვრეტლიდან.

1969




\* \* \*

აღარ უხსნის დანა ზღვას პირს  
თოლიების ბუმბულივით

მოქათქათე ყრია ქვები.  
და ტალღები ჯიხვებივით,  
ყალყზე დგებიან და ნაპირს  
რქენენ ქარის ქარვის  
რქებით.

1980



## ჭირების ლანდები

სასაფლაოდან გამოპარულან  
უკვე აღარსად არა აქვთ  
ბინა,  
იხსენებიან თუმც ჩვენს დვიძლებად.  
წინაპრის ლანდებს –  
ჩვენი სსოფნის ტოტებზე  
სძინავთ,  
სახელს ვიტყვით და  
წიტებივით გაედვიძებათ.

1997

## ၂၁၂၀ ဧၢ၊ ၂၀၄၀ ပေါ်မြို့၏

၂၀၀၃



\* \* \*

მოწყენილი ღრუბლები,  
ელვის ოქროს ძაფებით,  
ქართვლის ცას რომ  
ლამბავენ,  
უძველესი კოლხეთის –  
წარსულიდან მოდიან,  
მოაქვთ გმირთა ამბავი.

1963



## ქარიშხალი ღამით

(ვარიანტი)

მოვარდა და ქარიშხალმა  
გადარეკა ნისლის ფარა,  
სად მთა იყო მოთოვლილი.  
ელვამ ზეცა გააშიშვლა,  
მაგრამ მოვარე ააფარა  
დამემ ლელვის ფოთოლივით.

1963



\* \* \*

ამოსვლა უნდა და ვერ ამოდის,  
წყალს ციცქნა პეშვით  
ქვიშაზე აღვრის, —  
პატარა ტალღა ნაპირთან ანცობს,  
და მე მგონია სირბილით  
დაღლილს  
სურს,  
ჩემს ზღვაოსან წინაპრებზე  
რაღაცა მამცნოს.

1972



## გელის ჯოჯონეთი

შენი წინაპარია კაენი!  
მიწიერ ცოდვისგან ვერ გიხსნის  
კოლხეთი,  
თუმც ქრისტემ ჯვარი თვის სისხლით  
შეღება.  
ადამის ძის ნაშიერს გელის  
ჯოჯონეთი,  
ნუ ცდილობ სამოთხის კარების  
შეღებას.

2004



\* \* \*

მოულოდნელად,  
სადღაც დასავლით,  
ისე ვითარცა ლურჯა ცხენებმა,  
გადაიქროლეს დამის ქარებმა:  
და, ზღვა მომდგარი ახლა  
ნაპირთან,  
ხმელეთს რაღაცას ემუდარება.

1998



\* \* \*

წუხილი აღარ შორდებათ,  
ხედავენ გზას ქვიტკირიანს  
ისმის ტყეების გოდება, —  
შემოდგომის მზეს ტირიან:  
ცვივათ ცრემლებად —  
ფოთლები.

1988



\* \* \*

ღრუბლები ღამის სიმყუდროვეში  
დააგორებენ ელვის „ურიკებს“.  
(ველარ ისვენებს ცა ნაომარი).  
ზღვად კი გრიგალი,  
ღელვით სავსე  
თითო ტომარა  
ტალღას, ნაპირებს ჩამოურიგებს.

2001



\* \* \*

სააკაძის მომღოდინებ –  
გარტყოფმა და  
ტაშისკარმა,  
ბეთანიამ და სამადლომ,  
ეცადე რომ ქართველობა,  
ვერასოდეს დაგამადლოს.

1962



\* \* \*

ერთი კლდე კი ხერთვისიდან  
მოლანდებად სდევს ურჩხულის...  
როს შორდება თბილისს მტკვარი,  
მაშინ ტალღებს გულზე იცემს  
და ჩურჩულებს:  
— მე რომ ვიყო,  
ვინ ყოფილა  
ამაქეებნად „ბედით მტკბარი?!“

2006



\* \* \*

სიცოცხლესთან თავისთავად,  
სიკვდილთანაც კვლავ მაქვს დავა;  
ვარსკვლავები ბეჭტე მეწვის.  
ვითარც ადრე,  
ახლაც დავალ,  
დანის პირზე,  
ხიდზე ბეწვის.

2006



\* \* \*

ვეძებ და თავს მარიდებს,  
ერთი ერთზე შეკრა მსურს,  
ცხვირი რომ მოვუხოცო:  
სიკვდილს გაძვალტყავებულს,  
უსულოს და  
უხორცოს.

2005



## დამივიწყა დედამ ალგათ

ხსოვნის კარში რაც დრო გადის,  
მოგონების ჰყვავის ბალბა,  
მონატრების მზე იზრდება.  
დამავიწყა დედამ, ალბათ,  
რადგან აღარ მესიზმრება.

1988



## ტირის ვაზი

ხუთი საუკუნის მერეც,

ელანდება —

შაჰ-აბაზი.

მიტომაა რომ კახეთში —

ტირის ვაზი.

1969



\* \* \*

ღამის ტოტზე მამალივით,  
სანამ იყივლებდეს დილა,  
აანთებდეს ცეცხლს მზის ქურა,  
მანამ მთვარე სარქალივით  
ღრუბლის ძველას მოიხურავს,  
ცისპირ მიეგდება ძილად.

2000



\* \* \*

ჩაუქროლიათ ათასწლეულებს...

შორით წასულან საუკუნენი,

კოლხეთის წარსულს რომ

მიმაჯაჭვეს.

ჩემთვის კოლხეთი ჭრილობაა

განუკურნელი,

რომელშიც უამი მარილს მაყრის

დღეში ათასჯერ.

2004



## გითარცა გორდას

ბნელით მოსილი ესე სამყარო –

ოდისეაა და ილიადა.

და ცა როდესაც ვარსკვლავებს ბოდავს

უძილო ცა როდესაც ვარსკვლავებ ბოდავს

უძილო ღამეს ეშინია და

წელზე იკიდებს მოხრი მთავრეს,

გითარცა გორდას.

1993



## გარსპგლავები იძინებან

ფეხზე დგომით დაღლილები,  
შუაღამისას  
კვლავ ჩათვლემენ  
ქედები და მთის ძირები.  
და მერე უამს გათენების  
გარსკვლავებიც  
იძინებენ.

1985



\* \* \*

რაც რომ დრო გადის,  
ჟამთა სარკეში,  
თავს გვაწონებს და  
უფრო დიდდება  
სახე კოლხური –  
ძველ სანახების.  
ვერვინ წაშალა მისი დიდება,  
დღეები აწიც  
ხელს ვერ ახლებენ.

1997



\* \* \*

დღის მიტოვებულ ღამის ცას,  
ახურავს შავი მერდინი,  
და ერთი შავი ღრუბელი,  
ქართლისქნ ჭექა-ჭუხილით  
მოდის,  
ვით ჯალალედინი.

1973



\* \* \*

სიჩუმეს გამოპარული

დელვა —

მომდგარი ნაპირთან,

ტალღას ხმალივით იშიშვლებს.

ცა —

დარდაინი ქალწული,

ელვას მოელის პირშიშველს.

1969



\* \* \*

მიმწუხრისას მუხათგვერდთან,  
ყაჩად არსენაზე უწინ,  
მკრთალი სახე გაიელვებს  
აუჭნატელის.  
მერე უცებ,  
ცა მოისხამს ვარსკვლავების  
აურკანტელებს –  
გრძელი ოქროსფერი ყუნწიოთ.



## შინაგართა სული ყიზის

შორეთიდან წამოსული,  
ჩემს სარკმელში აღწევს  
სხივი.  
სხივი არა,  
ო, ეს ალბათ,  
წყვდიადიდან –  
წინაპართა სული ყიზის.

1993



\* \* \*

შენი ფიქრის ბადის გაშლას,  
ისე მოელიან ზღვები,  
ვით სვანეთის მთები „ლილებს“.  
შენ კი იქ ხარ!  
სადაც სხვები,  
ათასი წლის მერე მივლენ.

2005



\* \* \*

სანაპიროზე ვიღაცა მღერის:

— მთვარე კი არა,

შენ ხარ მზის ცალი,

შენს გარდა ქვეყნად არავინ მივის...

გამთენისას ქარიშხალი

გარდაიცვალა,

დარჩა შავი ზღვა,

შავ ძაბუბში,

ვითარცა ქვრივი,

1966



\* \* \*

იგი ბრმაა და სეტყვის ქაცუნით

დადის და...

გულით გითვალთვალებს

ციდან ელია,<sup>1</sup>

რადგანაც ქვეყნად მთვარისგან იშვი...

და არ გაწუხებს

სიკვდილის შიში,

მძვინვარე ზღვები –

შენი ბადის გაშლას ელიან.

1958

---

<sup>1</sup> ელია – ცათა და ღრუბელთა წინამდლოლი დვთაება.



## პაპარჭინა

აქ,

ზღვისკარად გაჩენილს,

ჩემმა წინაპარმა კოლხმა,

ბევრი ნახა ჭირი, და...

ნიავს ძველი მოაქვს ოხვრა,

ახლაც კაპარჭინიდან.

1993



\* \* \*

მოქაოქათე ღრუბლების მატყლს,  
ელვის თითისტარზე ართავს  
მწუხრი, და ზღვას  
კვლავ აჩუმებს.  
ღამე კვლავ შლის ნისლის  
ფართალს,  
კითარცა ცის სასარჩულებ.

1988



\* \* \*

სიყვარული გვეჩარება...  
დაკაცებაც გვეჩარება....  
ტოტს ვუსინჯავთ ბალში ნარგავს,  
ხომ არ ავნეს რამ  
ქარებმა?!  
კი ბატონო!

ყოფნა, მაგრამ,  
არ ყოფნა რად გვეჩარება!!!

2006



\* \* \*

ცის ციხე-კოშკში გამოკეტილი

ელვა,

ვით მეფის ტურფა ასული,

წამით მიწაზე გადმოიხედავს,

სადაც მიჰყვება სრბოლას

მდინარის

მთვარე,

სუფთად თაგგადაპარსული,

შუბლსხივოსანი და

მომდიმარი.

1980



\* \* \*

ქლვა —

კაცის აქ ყოფნაა  
ცხოვრების ხის სხეულიდან

წამიერად ატკეცილი.  
დრო მიგვაფრენს არ ყონისკენ —  
ჩიტივით ფრთა დაკეცილებს.

1987



\* \* \*

შენს აღმაფრენას ვემონე –  
რადგან ოცნებებს  
მპარავდი.

ვახმე!  
რა დიდი მეგონე,  
რა უცებ დაპატარავდი.

1998



## მუცო

დათარეშობს მომხდურივით  
დრო და ახლა  
აღარ ურცხობს;  
სიჩუმეში მდგარი უხმოდ,  
მხსნელად თორდვა ძაგანს  
უხმობს,  
უფარ-უხმლოდ მგარი მუცო.<sup>1</sup>

1997

---


<sup>1</sup> მუცო – ციხე-სიმაგრე ხევსურეთში.



## 500 პოეტი – 1985

არც სინდისი,  
არც ნამუსი,  
ადარ შერჩა ნატამალი –  
ამ მეოცე საუკუნეს:  
არც ზღვა შველის,  
არც წამალი,  
დექსებისგან განუკურნელს.

1985



\* \* \*

გულ-მკერდ ამობურცულ ტალღას,  
ქარიშხალი მკლავს უსინჯავს,  
ვითარც ჯეელს ბებერი.  
ზღვა ნაპირთან დადის დინჯად,  
როგორც ბრძენქაცს  
შეჰვერის.

1962



\* \* \*

პირს ვეღარ უხსნის დანა,  
მთვარე ჰგავს სიკვდილ  
  მისჯილს,  
რომელსაც არვინ არ ჰყავს.  
კერასთან ზის და დედა,  
წელგამოყვანილ ქვიჯით,  
მარილთან დარდსაც ნაყავს.

1959



## პიგვიდან ისმის ხმები

აღსავლის ცის ქიდეზე –  
გარსკვლავი კვლავ კროება  
ისნის,  
რადგანაც მზეს მიელის.  
ბიბლიიდან ხმები ისმის:  
იერემიას,  
ესაიას, და  
გხიკიელის.

1974



## 800 პარაველა

რაც უძველესი იყო კოლხური:

მითი,

თქმულება, ლექსი,

ლეგენდა, —

(რადგანაც ჰყავდა მარგალი<sup>1</sup> დედა.)

მან მოაგროვა, ვით კარაველა<sup>2</sup>

და დაუბრუნა მარგალიტებად

ხალხს,

ისე, ვითარც ვაჟა-ფშაველამ.

1972

---

<sup>1</sup> მარგალი (მეგრ.) მეგრელი.

<sup>2</sup> კარაველა — კარულია — ფინეთის ხალხური ეპოხი.



\* \* \*

ღრუბლის ძაღლი ელვის ენას  
ილოკაგს და დაღავდავებს.  
ცას კი ადევს  
მთვარის კლიტე.  
და ეს ღამე გულ-ბალლამი,  
ამდენ ვარსკვლავს  
როგორ იტევს?!

1979



## პეტრიღონი, ბასილი და ათონი

გაიარა გზები –

ათასწლეული,

კეიპროს და პალესტინას

ჩავიდა –

ქართული სულის ნაწვიმი და ნათოვლი:

საბაწმინდა,

სვიმონწმინდა,

შავი მთა,

პეტრიღონი, ბასილი და ათონი.\*

1983

---

\* ქართული კულტურის კერძი საზღვრგარეთ.



## შიში – დამოკლეს მახვილი

რა არის ცხოვრება –  
ღვიძილი და ძილი...  
გზა წუთისოფლის მტვრიანი და  
მოკლე.  
ყოფნა – არ ყოფნის შეა მცირე  
მანძილი,  
სურს ბედისწერას,  
რომ უფრო დამოკლდეს  
და შიში ჩვენს თავზე ეკიდოს  
ხანგრძლივად –  
მახვილად დამოკლეს.

1988



იოანე მინჩხი,  
მიქაელ მოდრეპილი

ათასი წლის სიშორიდან –

გალობა და

ჰიმნი ისმის:

(იქაც ვიდაც გოდებს, კივის...)

დიდი იოანე მინჩხის<sup>1</sup>

და მიქაელ მოდრეპილის.<sup>2</sup>

1961

---

<sup>1,2</sup> მეათე საუკუნის პოეტები.



## პახეთში

უგარლის მოებს დილის ნისლები,  
კვლავ ეფინება ლამაზად,  
სიყვარულად და  
ალერსად.

ბრწყინვა გაუდის ალაზანს,  
თითქოს ერეკლე –  
ხმალს ლესავს.

1960



## პრიბოლ ხანძთელი

უფლის ნებით იმძლავრა –  
მასში სულმა ქართულმა  
და მიტომ ვერ დააკლო,  
ვერაფერი მაცილმა.<sup>1</sup>  
უფლის სახლთა შენებით  
მეტისმეტად გართულმა,  
ასწელს გადააცილა.

1977

---

<sup>1</sup> მაცილი – ავი სული.



## ဝနောင်

ကုလ္ပာဂျောက်မှတ်၊  
သာမဏေမြတ် အတာဆို၊  
စံနံပါရ မျှေးဖွေ့ချွေး၏၊  
စံနံပါရ၊  
မာရာနှင့် ပုရာရာ့နှင့် –  
တာဒို့ –  
ဘု ဒု မျှေးဖွေ့ချွေး၏။

1999



\* \* \*

ღრუბლის ყაბალახს შემოხვეული,  
ელვით დაჭრილი და  
მოცახცახე,  
გადმომცექუროდა ცა – მეხიანი.  
ჰჰე, ჰჰ – ჰჰი!  
ზღვის ბობოქარს სივრცეს  
გავძახე,  
და დაღუპულთა სულებს ამით  
შევეხმიანე.

1961



## შავ მთას და სინას მთას

საფრენად ქართვლის ცა არ გყოფნის,  
წინ ცეცხლია და

უკან მეწყერი.

წუხილი თან გახლავს  
ღიმილთან.

დღე არის, ათასჯერ ეწვევი:  
პეტრიწონს,<sup>1</sup>

შავ მთას<sup>2</sup> და  
სინის მთას.<sup>3</sup>

1963

<sup>1</sup> პეტრიწონი – ბულგარეთი.

<sup>2</sup> შავი ან საკვირველი მთა – სირია.

<sup>3</sup> სინის მთა – არაბეთი (შეა საუკუნეების ქართული  
კულტურის კერძი)

\* \* \*

დავალო და...

სული კბილით გვიჯირავს

და მოკუმშული დაგვაქვს

მუჭები.

გვევსება მწარე ცრემლით პეშვები.

მაინც საწუთროს კაბის კალთას

ვებდაუჭებით

და გვეშინია ხელის შეშვების.

1990



## აპიბო ნეპრესელი

ათი საუკუნეა,  
ქართველს სანთლად უნთია –  
ბრძოლა და თავგანწირვა –  
ქრისტეს რწმენის მთესველის:  
დიდ კონსტანტი კახის და  
აბიბო ნეკრესელის.

1971



## პოლიტიკური, პარტიი

აღმოსავლით და დასავლით –  
კოლხეთს,  
კახეთს, –  
იქაც,  
აქაც,  
ათასეულ წელთა შემდეგ,  
კვლავ ატყვია სისხლის ლაქა:  
ნაციხარს და  
ნაქალაქარს.


1992



## მეზოთე საჟაჟო

გორგასალი ერთი იყო,  
მაგრამ ასი —  
მის წიაღში:  
მოდალატე და ორგული,  
ვითარც ვარსქენ პიტიახში.  
და ჩუმჩუმად მას ბაძავდნენ —  
აზნაურნი,  
უაზნონი,  
მგრის წისქვილზე წყალს ასხამდნენ  
უტვინო და უაზრონი.

1971



## მოხუცი იჯდა კერასთან

თვალები ჰქონდა ჭიშკარისკენ,  
ხან ქსოვდა,  
ხანაც კერავდა.  
არ ჩანდა დედის იმედი,  
თუმც დიდი ომი დამთავრდა.  
მოხუცი იჯდა კერასთან,  
დარდს თითისტარზე ართავდა.

1957



ალექს

## ზანძთაში

წარსულიდან ისევ მესმის:  
ეგსტათის და  
ნერსეს ხმები,  
აშ სიკვდილის მოიაფე,  
და... მე,  
სიბრძნეს ვესესხები:  
ჰიმნოგრაფებს,  
პაგიოგრაფებს.

1962



\* \* \*

სიბერის ქამი ეწვევათ  
და ცვიგათ თმები გიშერი,  
და შემოდგომით ხეები –  
უფალს შესოხოვენ შეწევნას  
და ხელებს –  
ცისპენ იშვერებ.

1988



\* \* \*

ვიდაც ისევ მიამიტობს,  
ამბობს: რატომ გრიგალობო!  
აფერუმ შენ,  
ციცქა ჩიტო!  
მე, არ ვიცი,  
გალიაში,  
როგორ უნდა ვიგალობო?!

1959



## ცას და მიზან

ნათლით მოსილ ადამის ქეს,  
შავი ლანდი სდევს მაცილის.  
მზის აკვანი რაც დაირწა  
მათ სურთ სული მოაცილოს:  
ცეცხლსა და წყალს,  
ცას და მიზან.

1972



## შდაფეო და შსურო

სიცოცხლე და სიქვდილი,  
ქვეყნად ორად ორია, —  
უდაფნო და  
უსურო.

აბა, ვის უცხოვრია,  
უხორცოდ და უსულოდ.

2004



## მგოსნებს და მუტრიბებს

გმირთა გმირებს მოუხმობს –  
ქართული ცის კამარა,  
მიტომ არვინ უფროხის მტრებს.  
კარზე მეფე თამარის,  
აქვთ შაირთა ცილობა –  
მგოსნებსა და  
მუტრიბებს.

1969



\* \* \*

„მზიანი ლამე“ წინ უძღვის  
 და დიდ პლატონს მიტომ  
 ვაქებ,  
 არ ყოფილა სიბრძნის თესლი –  
 ერთმანეთში აერიოს,  
 გიო „ტოპიკას“,  
 „ნიკომაქეს“,<sup>1</sup>  
 ალ – ჰალაჯს<sup>2</sup> და აგერიოს.<sup>3</sup>

1964

---

<sup>1</sup> – „ტოპიკა“, ნიკომაქეს ეთიკა – არის ტოტელებს ნაშრომები. (IV ს. გ. წ.)

<sup>2</sup> – ჰალაჯი – არაბი სუფისტი (922 წ.).

<sup>3</sup> აგერიოსი – არაბი ფილოსოფოსი (XII ს.).



## ხმა მესმა გრიგოლ ცოსელის

— ეს წუთებია დვოთიური:  
ხმა მესმა გრიგოლ ნოსელის,  
როცა დღე დამეს დაშორდა.  
შარავანდედით მოსილი  
მზე იშვა —  
დილის საშოდან.

1989



## ვერცხლი

თბილისს რომ გადაფანტვია  
და ქართვლის ცისფერს  
შერთვია,  
ნატანჯი სულის მილევით,  
ნისლი კი არა,  
ფერფლია,  
დამწვარი აბო\* თბილელის.

1967

---

\* აბო – არაბი ჭაბუკი, რომელიც ქრისტიანად  
მოინათლა, არაბებმა 786 წლის 6 იანავრს შეიპყრეს.  
აწამეს, მოკლეს და შემდეგ დაწვეს.



\* \* \*

მზიანი და მზით მოსილი,  
სულის მზრდელი  
უნდა მიქონ,  
რომ თავს ადგეს ათი მნათი.  
და მე ვეძებ ლამაზ  
სტრიქონს,  
ვითარც ნესტანს და თინათინს.

1959



\* \* \*

წეს და...

ფერი ადევს მიტკლის  
 ცას და,  
 თოვლი უნდა შობოს.  
 ორსულ მთებსაც გულზე აყრით,  
 ტანთა იცვამენ თეთრ სამოსელს  
 და ვიხილე, ვითარც მოსემ,  
 ცხელმძღოლმარე ბუჩქი  
 მაყვლის.

1967



## ტოპაზება და ამეთვისტომ

მიჯნურთაგან ვერ განკურნა

ვეღარ დამაბრუნა

თვისტომს:

ქრიზოპრაზმა<sup>1</sup>,

ქრიზოლითმა,<sup>2</sup>

ქალცედონმა,<sup>3</sup>

ტოპაზმა<sup>4</sup> და ამეთვისტომ.<sup>5</sup>

1989

---

1,2,3,4,5 – ბიბლიური სამქურნალო ქვები.



\* \* \*

დაღლილი მზე ზღვაში ჩადის,  
ბნელს იფარებს და  
ივანებს.  
ქარი ზომავს ზეირთოა ფართალს,  
მთავრე,  
გითა იოანე,  
ცაში ნინველ მთიებს ნათლავს.

1964



\* \* \*

არ ითქმის ცოდვა ადამის,

არც სიტყვითა და

არც ენით.

ცას გარსპელავებად ასხია

სისხლი დაღვრილი...

კაუნის.


1970



## ზგირთები

ზღვის ტაძარში ქარიშხალი —  
შიშის დედო ზარებ რეკავს...  
და ზვირთები,  
ვით მლოცველნი  
ცისკენ სწევენ შიშველ ხელებს  
და ნაპირთან მუხლს  
იყრიან,  
თაყვანს სცემენ მფარველ ხმელეთს.

1999



## გიორგი მერჩულე

ერთი კი არა,

მეორე,

დაიწყო ათასწლეული!

კაცი მღოცველი მამულზე,

მტრისგან ვერ იქნა ძლეული.

ხანძთაში ლექსებს ანთებდა

და ქუხდა —

„მერჩულეული.“

1987



\* \* \*

სიშორის კიდეს მიკარგულები  
მთიები ნისლს

ვერ დაუფარია,  
მარადისობის კარებს აღებენ.  
ცისკენ მზირალი ზღვა –  
უფალია,  
და მუხლმოყრილი მრევლი –  
ტალღები.

1984



## ცათაგან დაუტეველი

ადამის ცოდვის მტგირთველმა,  
იხარა ნერგმა –

ვაზისამ,  
მოისხა ოქროს მტევნები.  
და რტო-კეთილი  
ყვავილობს  
– ცათაგან დაუტეველი.

2000



## თოლია

წყვდიადი რომ გაანათოს,  
ქეხსკნელს ჩადის  
უფლის ხატი,  
მწუხარი მიწას უგლის ბინდად,  
და ზღვის ტაძარს დაფარფატებს  
პგლავ,  
თოლია – სულიშმინდა.

1989



## აველ ღვევე და მზიან ღამეს

მიმწუხრისას ნახირივით,

რქებზე სანთლებ

დანთებული –


მთიები ცას მიაბდავლებს.

მე აღუვლენ მაშინ ლოცვას:

– ძველ დღესა და

– მზიან დამეს.

2001



## შიგნი – „აგრს შამება“

ქართვლის ცაზე მთიებივით,  
კელავ ქართული ანბანი ძეგს  
და იმ ოქროს ასოებით,  
აბო თბილელს ეფერება  
იოანე საბანიძე.

1964



## სულ ნაცხობი ხმა ისმის

ულამაზესი დების –  
ცუცუ და რახილი ლეფონავების  
ხსოვნას.

ხორგის სასაფლაოდან  
ისმის ჩუმი ძახილი:  
– არვინ იცის სიკვდილი,  
რა ხეა და რა ხილი...  
სულ ნაცხობი ხმა არის,  
ცუცუს ანდა რახილის.

1959



## მზეს წყვდიაღში ჯამენათევს

ვარსკვლავთ ღველფზე იწვის მოვარე,  
ცაში კვერი ცხვება ობლის.

აქ კი სანთელს უნთებს მნათე  
იდუმალს და

— მხოლოდ — შობილს —

მზეს წყვდიაღში

დამენათევს.


2004



## ალვის ხე

თეთრით მოსილი,  
თეთრი ალვის ხე,  
აწ მიტოვებლ მამის  
ჭიშკართან  
დგას მოწყალების ძვირფას  
დასავით.  
დამეს უჭირავს მთვარის ჩიბუხი  
და მიაბოლებს ღრუბლებს  
დასავლით.

1962



## სამეგრელოს პოლო დალაშვილა

ლეგენდიდან მოსულ კოლხეთს,

განა,

ოდეს აკლდა ჭირი.

ვახმე!

ახლაც რას არ უძლებს.

აშ,

ვენახი,

ალდაჭივით,\*

ვერ მოისხამს დიდხანს ყურძენს.

1997

---

\* ალდაჭი – მღაშე ნიადაგი.

## გვემსახურა ცით წყარო

ადამის ძის ცოდვები,  
გამჩენმა შეგვიწყალოს.  
ჩვენთვის ლოცვებს აღავლენს  
უფლის სახლი სინას მთის.  
გვესხურება ცით წყარო –  
მარადიულ  
სინათლის.

2006

## ჩემო ხორგავ და აჭყურო

რადგან ბედი აღარ მწყალობს,  
ჩემო ხორგავ და  
აწყურო.

უნდა სალ კლდეს დავკრა კვერთხი,  
რომ აჩქეფდეს  
სიბრძნის წყარო,  
და მწყურვალი დავარწყულო.

1958



## სიკვდილეა რომ მოირთვილოს

დაღლილმა და დაქანცელმა  
სიკვდილმა რომ მოირთვილოს,  
სიცოცხლე კვლავ ისხამს  
მტევანს.

და ბეთლემის ქვაბში მიტომ,  
ყურძნის აღარ არის  
ტევა.

2001



## ტუთისოფლის ხიზანი

ნავმა ამა ცხოვრების,  
წუთისოფლის ხიზანი,  
ზღვაზე არ მანანავა  
და ორომოცი წელი კი უდაბნოში  
მატარა,  
მერე გამომიგზავნა  
მშიერს –  
ზეცის მანანა.\*

1989

---

\* მანანა – ცის პური.



## მთვარე ზეს ჩავჭრიდა

როცა დამემ ალესა,  
მთვარე ხეს ჩავჭრინდა,  
ვითა წალდი —  
გეტყევის.  
ტყის შრიალში ხმა მესმა, —  
დავით  
ფსალმუნომეტყველის.

1972



\* \* \*

მარადიულ შიშით და  
სიყვარულით მოსილი  
შრიალებს ხე –  
აქ ყოფნის,  
დახუნძლული სიბრძნით და  
– ათორმეტთა ნაყოფით.\*

1966

---

\* ოგულისხმება ქრისტეს თორმეტი მოციქული.



## ტამარი

მოჩანს „პოლარული მთა“,  
მზე,  
მის მიღმა ამოდის,  
კოლხურ ცეცხლში ნადნობი.  
კლდედ დგას შენი ტაძარი,  
მიღმა ცვალებადობის.

1979



## მამული

ჩვენს დიდ „საქმეებს საგმიროს.“  
თვალებით ცრემლდანამულით,  
მამა-პაპანი ელიან...  
სიცოცხლეცა და სიკვდილიც –  
შენთვის,  
ო, შენთვის მამულო!  
ორივე სანატრელია!

1961



## ლიხს აქვთ და ლიხს იქვთ

შემომჯდარი ცის ტოტზე  
მოვარე ნათელს იცინის,  
მწუხრი კი ბნელს –  
ხითხითებს,  
ელვა დახტის კვიცივით, –  
ლიხს აქვთ და  
ლიხს იქვთ.

1980



## ცა შესძრა აყალ-მაყალმა

ელგა მეხს გამოეკიდა,

წამით,

როცა დრო იხელთა.

ცა შესძრა აყალ-მაყალმა.

მერე მზემ გამოიხედა,

ვით „შეუწველმა მაყვალმა.“<sup>1</sup>

1973

---

<sup>1</sup> „შეუწველ მაყვალში“ – იგულისხმება მარად  
ქალწული მარიამი



## მოჩას ღრუბელი ჭუხილად

მთვარე ზღვის სიმყუდროვეში

ჰყიდია,

როგორც ანკესი,

მოჩანს ღრუბელი წუხილად.

წამს,

ხმა გაარღვევს ქუხილის

ცას –

ელვის ძაფით დაკემბილს.

2004



## იოანე ჰიმზიშვილი

დავითიც ვერ ჩამოთვლის  
„ქართლის ჭირში“ –  
იმ ვარამს,  
იმ ცრემლებს და იმ ჭირებს,  
რაც მესხეთს თავს გარდახდა,  
აქვს თვის იამბიკონში,  
იოანე ჭიმჭიმელს.\*

1969

\* იოანე ჭიმჭიმელი – პოეტი, მთარგმნელი (XIII ს.)



\* \* \*

ცას წვდება მოთქმა...  
გოდება...  
ქართველმა ყურსალარებმა  
და ვაცისწვერა აღამ-ქნა.  
ომას იწევს და კლდეს თავს აკლავს,  
ზღვამ, ამის მეტი  
რაღა ქნას!

1964



## အဲဇား

သမီးမှတ်များ  
သမီးမှတ်များ  
(အမြန်)  
သမီးမှတ်များ  
သမီးမှတ်များ  
(အမြန်)

1960



\* \* \*

ცას ელვამ თვალი ჩაუკრა,  
თითქოს რადაცას დაპირდა.  
ხმა იგრძნო წვიმის ფლოქვების –  
ქარმა და მერე ნაპირთან  
შეძლო ზღვის  
წამოჩოქება.

1999



\* \* \*

დამის მინდორს ზვერავს ელვა,  
მაგრამ მაინც ცას მთიები  
ისევ ისე ნაღმავენ.  
შენ კი ვეშაპს ჰყავდი მუცლად,  
„სამ – დღე და  
სამ – ღამე.“

1966



## ქარიშხალს ზღვა შემოაკვდა

მთვარის ფარებს იფარებენ  
ღრუბლები და  
ელვის შუბებს  
შორს სტყორცნიან მზით ალესილს  
და ძალ-ღონე შემოაკლდათ.  
ამდენ ხვევნა და ალერსში  
ქარიშხალს ზღვა  
შემოაკვდა.

1977



## მართიხა მთაწმინდელი

„სიბრძნე ბალავარისა“ –  
ბევრ ჭირნახულ ქართვლის სულს,  
მარად უნდა აწვიმდეს,  
რომ ის სანთელს უნთებდეს –  
დიდ ექვთიმე  
მთაწმინდელს.\*

1972

---

\* ექვთიმე მთაწმინდელი (1995-1028), რომელმაც  
ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „სიბრძნე  
ბალავარისა“



\* \* \*

სულ უმიზეზოდ და სულ უბრალოდ,  
აბობოქრდება და  
აქუხდება,  
ქარს გასცემს ზვირთთა ენიო.  
დელვა არავის აღარ  
უხდება,  
ასე,  
როგორც ზღვას შეენის.

1987



## ქვეყნის არმაზში

კედელზე დარჩენილი ფრინველი,  
მიაგავს მგალობელ  
იადონს,  
რომელიც თითქოს და ამბობდეს:  
აკურთხე,  
ვინც აქ განისვენებს,  
ვინც სული მიანდო,  
ათასი წლის წინათ ამ საფლავს –  
ქვაყუთებს.

1962



## ტალანტი

მთაწმინდას გასცემის  
ხშირ-ხშირად,  
არ მოსავს სიხაურლის პორფირი  
და არც განდიდების მანტია,  
მაგრამ ის კაცი,  
ბედით კმაყოფილი –  
დიდი პოეტი და... ტალანტია.\*

1989

---

\* ტალანტი (ბერძ.) – განსაკუთრებული ნიჭი.



## ორი იოანე

ვითარც თქმულა,  
ეს საწუთრო –  
ცბიერია და ორპირი.  
ეს ჩვენ ბევრჯერ დავასკვენით.  
გამოვცადეთ და  
მოვპირეთ,  
მოთქვამს ორი იოანე:  
დამასქვლი...  
ოქროპირი.

1969



## ვეხზე ისევ დგანან მოგაი

თავგანწირული ჩანჩქერების –  
უცნაური ისმის ხმები,  
ცა თავს ირთობს  
ვარსკვლავების  
ოქორონეულ ლაპარაკით.  
ფეხზე ისევ დგანან მთები,  
ისევ ერთვის მტკვარს –  
არაგვი.

1972



## ပြည်သူများ နှင့် ရာဇ်သွေး

ဖွံ့ဖြိုး အနုစွမ်းများ  
ကုလ္ပတာ ဂာစ်အဖွဲ့များ  
ဗုဒ္ဓဘာသာ မြောက်များ  
နေပါယံ၊  
ဘုရား၊ ရာဇ်သွေး၊  
ပိုမိုကုသာ နှင့် ရာဇ်သွေး.

1964



## ქართველი ზღვაზე

ზღვისკარად,  
მზის მოლოდინში,  
ციმციმებდა წამი ვარდად,  
ქარიშხალი ქროდა ხისტი.  
მოვიდა და ზღვა მუხლებში ჩამივარდა,  
მე არ ვიცი,  
რატომ,  
რისთვის?!

1999



## გაშა-ფშაველა და ნიკო ფიროსმანი ანუ ფშავი და ბოდბე

მზე ცოტასი აღმოხდა და  
ბევრის კი ჩავიდა,  
სიმღერები მოზვავდა წამოსული  
ფშავიდან.

აბობოქრდა ფერები და  
ზღვასავით მოდიდდა  
და სამყარო წალეპა –  
ფერთა გამამ ბოდბედან.

1979



## პილნასა და ძიგვის

ფაზისის კი არა,  
ნაპირზე ნილოსის,  
დავეძებ უძველეს  
კოლხეთის სამარეს.  
და ვუხმობ დიდ მეფეს კილხას<sup>1</sup>  
და ქიმეთის<sup>2</sup>,  
„მენგურელს,“  
ხეცის შვილს – ან-მარეს<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> – კილხას და ქიმეთის (ეგვიპტე) მეფე ან-მარე –  
ცისშვილი (5185-5120)



## ზური იოანე

ათი საუკუნეა  
გალობა რომ მოისმის –  
უფლისაგან მოვლენილ  
ხუთი იოანესი:  
შავთელ – მინჩხის – მტბევარის,  
ზოსიმეს და  
ბოლნელის.

1977



\* \* \*

მუდამ მოსურნე აყალ-მაყალის,  
მუდამ გულცივი და  
თავმომწონე –  
ქარი დაღლილი ზღვისკარად მიწვა.  
ცაში გიზგიზებს მნათთა  
კოცონი,  
ძირს კი სიცივით კანკალებს მიწა.

1992



\* \* \*

„დოქტორს იერარქიის,“  
რომელმაც მზე ქართული,  
უფრო მაღლა აზიდა,  
თავის მოძღვართან ებრძგის  
სიკვდილსა და სიბერეს:  
(ოთანე ლაზი და...)  
დიდი პეტრე იბერი.\*

1986

---

\* პეტრე იბერი – არეპაგიტული თხზულების ავტორი (411-491)



## მზის და პოლჩეთის ასაპის

ხის ფოთლებს შეფარებული

ისმის „ბვა-ბვა-ბვა“

ვასაკის:

— ბუნებას ჯანი გავარდეს:

დედამიწაზე ქვა არ დევს —

მზის და პოლხეთის

ასაკის.

1962



## საცტივებს და საპირებს

ფიქრითა და ოცნებით  
მივსდევ პონტოს ნაპირებს...  
– იქნებ სადმე წავაწყდე:  
ფიძირებს<sup>1</sup> და  
ბეჭირებს,<sup>2</sup>  
სანტიკებს<sup>3</sup> და  
საპირებს.<sup>4</sup>

1968

---

<sup>1,2,3,4</sup> – პონტოს (შავი ზღვა) ნაპირზე მოსახლე უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

სამშობლოს ლაჟვარდებისკენ –  
დღეები კვლავ მიგაცილებს,  
რადგან ფრენას ხარ ნაჩვევი.  
გერრას დაგაკლებს მაცილი,  
კაცს,  
ქვეყნად მგოსნად  
გაჩენილს.

2007



## ზეცის ღიმილია – თოვლი


ერთ ადგილზე არ ჩერდება  
და მოგზაურს მოჰვავს

ელვა:

სურვილი აქვს ქვეყნის მოვლის.  
დრომ ზამთარი მოაგელვა,  
ზეცის ღიმილია –

თოვლი.

1964



## როცა შენ მომენატრები

გაზაფხულის ბილიკებით –  
მომიტანენ ლამაზ ფერებს,  
აყვავებული ატმები.  
საფლავში რა გამაჩერებს,  
როცა –  
შენ მომენატრები.

1967



\* \* \*

მწუხარმა სოფლის შარაზე,  
როცა ვარდთან ეკალი,  
თაიგულად შეკონა;  
გული ორად გაიყო,  
მე ცხოვრება მეგონა,  
თურმე არარა იყო.

2003



## უფალო ჩემო

ვსვი ფიალებით და  
ბარძიმებით,  
მაგრამ ცხოვრებას ვერ ჩავატანე,  
ვითარც მეგონა  
ისეთი გემო.  
თუმცა ვიჯერე გული გალობით.  
სხვა არაფერი,  
უფალო ჩემო!

სიკვდილმდე მყოფნის შენი წყალობა.

2007



## გილგამეშს და იშხარას

თუმცა ადიდ<sup>1</sup> მიგზავნის ქუხილსა და  
ქარ-წვიმას,

იშტარი<sup>2</sup> კი სიყვარულს,  
ქვეყნად რაც მთავარია,  
ამიტომაც ვადგავარ იმ გზასა და  
იმ შარას,

რომელიც მე მიმიყვანს და  
მანახებს „აიას“<sup>3</sup>  
ზღვათა მფარველ სპეროზს,  
გილგამეშს და იშხარას.

1963

<sup>1</sup> ადიდ – წვიმის, წარღვნის, ჰექა-ქუხილის ღვთაება.

<sup>2</sup> იშხარი – სიყვარულის ღმერთი

<sup>3</sup> აია – ღმერთი და ქვეყნა კოლხთა.



\* \* \*

უამთა ზღვის მდგრიე სიბობოქრეში,  
არავინ იცის,  
ვის რას მიუტანს,  
ნისლში მცურავი ეს იალქანი.  
რადგან ცხოვრება არს კაიუტა,  
ან გატარებლის  
მომლოდინე  
ძველი ბაქანი.

1963



## ცა პოსმიური

კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა  
და სიყვარულის სითბო –  
ლვთიური,  
რომელსაც ქვეყნად ჟამთა მტვერი,  
ვეღარ დაფარავს.  
გვიხმობს,  
გვეძახის ცა –  
კოსმიური,  
ისევ შევხდებით ჩვენ ერთმანეთს,  
მაგრამ აქ, არა!

2006



## ვალოსი

რაც ცა მიწას გაშორდა,  
რაც გაირღვა ქაოსი,  
    მილიარდი წელია,  
რაც სამყაროს აოცებს,  
მზის სახმილი კი არა,  
    სიდიადე ფალოსის.  
და ყოფნა და არყოფნა  
მოელი კაცობრიობის,  
    მიბმულია ერთადერთ –  
იმ პატარა პალოზე.

1962



## სატანის ხმა

მეცხრე ცამდე ატანილს,  
ქარს ხმა მოაქვს სატანის:  
— ჯვარს,  
სვეტიცხოველს,  
ნიკორწმინდას,  
გელათს,  
საფარას,  
რა დღეს და რა ხვალ,  
დავიწყების მტვერი  
დაფარავს!!!

1963



\* \* \*

ფერდობი ნისლის თმას  
რომ ივარცხნის,  
თითქოს და ქარი –  
საგარცხელია.  
იქნე ხეები დგანა შიშვლები  
და... არ რცხვენიათ.

1962



## 050ს უფალმა

იმ ერთადერთმა იცის უფალმა,  
რომ არ ვყოფილვარ ბედის  
მორჩილი.

ვინც ჩემს აქ ყოფნას დიდხანს  
კდავა —  
ის დრო,

პალლივით კუდამოჩრილი,  
წავიდა უკან მოუხედავად.

2007



\* \* \*

ციდან ანგელოზად ჩაოფრენილს,  
ბედმა თუ გარგუნა  
განკაცება  
და მერე ამაღლება თუ გაბედე:  
შემოგეგება აღტაცებით –  
ქრისტე,  
ბუდა და მუპამედი.

2005



\* \* \*

ნისლებს, ვით სპას ურჯულოთ,  
 ქლდიდან ჯანდად გადმომდგაროთ,  
     ეშინიათ ამბორის –  
 თბილისის მცველ ორი მთის –  
 მახათას და თაბორის.  
 მტკვრისპირ –  
     ველი კრწანისის,  
 გულში ჩუმად გაივლებს:  
 არაგველთა ყიუჩას  
     და დალატის ყვავილებს.

1984



## 080

სანამ ჰყავს მხეცა და მთვარეც  
და ათოვს ცის სიმყუდროვე  
ჩვენს მიწას,  
ხეთას<sup>1</sup> და ფოცხობს<sup>2</sup>,  
მანამ ნაშიერი ნოეს,  
იმედის იმედით ცოცხლობს.

1966

---

<sup>1,2</sup> – სოფლებია დასავლეთ საქართველოში



\* \* \*

სიკვდილის შავმა დღეებმა,  
დინარეები შეუბეს –  
მოსვრად მთებსა და  
ქარაფებს.

სიცოცხლე არის მეუფე, –  
არყოფნისა და  
არაფრის.

1986



\* \* \*

დამის ელვით დაწნულ ოგვაჯეში,<sup>1</sup>  
მთიები კვერცხებია –  
მზის ნადები,  
ნისლებში გაცრილ ფერთა პდემით.  
სიცოცხლესთან ერთად  
ვიბადებით  
და ჩვენს სიკვიდლთან ერთად ვკვდებით.

1970

---

<sup>1</sup> ოგვაჯე – ქაომების კვერცხსადები.



\* \* \*

შემოდგომის ცის წვიმით დავარცხნილს,  
დამე ყორნისფერს იშლის  
ნაწინავებს.

ბანჯგვლიან მთებს კი შიშველ-ტიტველი  
უწევთ არაგვი,  
ვითა წანწალი.

ხევები ვნებას ვედარ იტევენ,  
ახამხამებენ ნისლის წამწამებს.

1984



\* \* \*

დილით სხვა იყო, იცვლება კადრი...  
ახლა მზე ჩადის.  
გვიან თუ ადრე, ჩამოვა დამე –  
ვარსკვლავთა კაბით და  
მოვარის ჩადრით.

1962



ალექს

\* \* \*

შოოო წარსულიდან გამოქცეული

რომ გაკრთა ელვა –

ის იმედია:

გაჩახჩახდება კოლხთა არე – ცის.

ვითარც ფაზისი, ელის მედეას, –

კირკებ<sup>1</sup> ველი და

ჭალა არესის.<sup>2</sup>

1969

---

<sup>1</sup> კირკე – ღვთისმრთბლის დედა (3500-3300 წწ.).

<sup>2</sup> არესი – (რომ.) ომის ღმერთი.



\* \* \*

მზის შვილი და მზით მოსილი,  
ვით კოლხური პავა  
გშვენის,  
შენც,  
ჭრელ ძროხას  
უნდა სდით ილოსივით,<sup>1</sup>  
ქალაქი რომ გააშენო.

1966

---

<sup>1</sup> ილოსი მერმეროსის ძე (კოლხ მედეას შვილი-შვილი).  
ტროას (ილოსის) დამარსებელი-მშენებელი.



\* \* \*

ღვთისთვის, ვითა იობმა,  
უნდა მეტი ითმინო,  
უნდა მეტი იელვო,  
რომ იხილო წყვდიადში,  
მზე, ვით მითამითინობს,  
მთვარე მიტარიელობს.

1981



\* \* \*

ეს ერთმა უფალმა იცის:  
ვინ იცინის და  
ვინ ტირის.  
რად აჩენს ცა დამით ხახას.  
სიცოცხლის დედაქალაქია –  
სიკვდილი,  
რომელსაც უცილობლად ვნახავთ.

2000



\* \* \*

უბენ არ ახსოვს დღე დაბადების,  
გწუხვარ, კოლხეთი  
რომ დამიბერდა;  
მთიები ლოცვებს არ ამთავრებენ,  
როდესაც ვწვდები ძირებს იბერთა,  
ვესაუბრები მაშინ მე ჩემს წარმართ  
ლვთაებებს.

1977



## ქარდუნია

გუშინდელი ქვეყნის შვილნი,  
ალბათ გულში დამცინიან,  
რომ მხედავენ თავაწეულს,  
მათ ვაუწყებ და დუნიას,  
რომ ითვლის შვიდათასწლეულს,  
ჩემი ქარდუ,<sup>1</sup>  
ქარდუნია.

1968

---

<sup>1</sup> ქარდუ – ქართველთა (იბერელთა) მოდგმა..



\* \* \*

ცად ღრუბელი მიგამსგავსე,  
ინით წვერშედებილ აღას.  
ქარიშხალმა ერთი ტალღა  
წააქცია ცხელ ქვიშაზე,  
მზემ კი ყელი  
გადმოდადრა.

1999



\* \* \*

მზეს დაეკარგა სინდის-ნამუსი,

ქარს მიჰყვებოდა

ტიტველ-შიშველი.

ნისლს იფარებდა ოვალებზე ფოთი.

ზღვას გაეხია ტანზე სამოსი,

იწევდა ჩემსკენ ვითარცა

ლოთი.

1961



## გიორგი დემეტრე თავდაცვული

ზღვისპირ წარსულის ბილიკს მივყვები  
და ჩემს დაკარგულ  
სამშობლოს ვტირი,  
ვითარც დემეტრე თავდაცვული.  
აშ ჩემს მორჩენას  
არ უჩანს პირი,  
— უძველესი კოლხეთით ვარ  
დაავადებული.


1963



\* \* \*

არ მიიზღაუნის ჯოგი ტივების,  
არც ბაიათი ისმის მეტივის;  
საიდანდაც ქარს მოაქვს  
„ჩაკრულო!“  
მიწის დილეგში გამოკეტილი  
შვეოთავს და ბრდდვინავს  
ზღვა მხარ-გაკრული.

1969



## ქვახვრელთან

კუპრი რომ დუღდა და ჯოჯოხეთი  
აქ....  
გვ, მას შემდეგ რა დრო გასულა,  
არა ჩანს მომსწრე,  
არც მნახველი... და,  
ბნელი თვალებით გვიმზერს  
წარსული –  
დუმილით მოსილ ამ ქვახვრელიდან.

1963



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
ჯვარი	25
კოლხეთი და შავი ზღვა	26
ჭორი	27
სამყაროს დიდი წიგნი	28
შენი თვალის ელვა	29
ისევ არაგვი	30
*** (ვარიანტი...)	31
გეასა და ურანოსს	32
*** (დვიძლის საკორტნელად მქროლავ არწივს)	33
პეკატეს ტაძართან	34
აბიბო ნეკრესელი	35
იოანე ზოსიმე	36
*** (ლექსი)	37
ტაო-კლარჯეთში	38
მე გამითვალეს კოლხეთი	39
ბარბითი და ბობლანი	40
*** (დემონივით შავზე შავი ღრუბელი)	41
*** (ვინ იცის როდის...)	42
წითილი	43

*** (პრეისტორიულ ბილიკს გავყვები)....44
ქარი, ზღვა, მზე, სიცხე.....45
სოფრომ შატბერდელი.....46
პრომეთეც და დიონისეც ..47
აქ, მცხეთასთან .....48
სანებსა და სანიგებს ..49
*** (ვით დამბაჩა...) .....50
ძველი კოლხეთი.....51
აყვა – 1993 .....52
*** (პონტო ზვირთთა შეკრულ მუშტით).....53
იქნებ ვაჟას შევლია .....54
კოლხეთის ცა.....55
*** (გადათოვლილი ჩანსმწვერვალები) ..56
კოლხთ-პელაზეგებს-ეტრუსკებს.....57
*** (დღე და ღამის შეა).....58
შენ ხარ სარანგი ..59
მცხეთასა და ბაგინეთს ..60
*** (მეხის ხმით და ელვის ხელით).....61
ათას... ათას... წლეულებად... ..62
*** (როს გახსნის კლდეთა დარაბებს) ...63
ეყოფოდა იმპერიას ..64
ფოთი – 1993 .....65

*** (სამოთხიდან ისევ უხმობთ) .....	66
*** (ღრუბელივით ნაზმთრალი).....	67
*** (როს დასალიერთან მზემ ფრთები) .68	
ენგურთან .....	69
*** (ზღვიდან ამოდის...).....	70
რადაა ესე საწუთო .....	71
*** (ჩაწყნარდა ქარი და ქაოსი).....	72
ეგსტათი მცხეთელი.....	73
*** (კოხეთის ცის ლამაზ სახეს) .....	74
*** (შენ სულ სხვა ხარ!) .....	75
ხევსურეთის მთებში.....	76
*** (ჩემი კოლხური ციო გადამთვრალი) .....	77
*** (ტანთ მივლის, როგორც არავი) .....	78
*** (ქრისტემ მიწაზე...) .....	79
თარი თარალე .....	80
*** (შავ-შავ ღრუბლების ბეჭტები) .....	81
სიცოცხლის ყანა .....	82
ლოდი ენგურის პირას.....	83
ჟინი ან-თარი .....	84
კლდე მესხეთში .....	85
*** (ყალყზე მდგარ ზვირთთა...) .....	86
ქარდუს ტაძრები .....	87

საქართველოს უდგას დარაჯად	88
ნაპირზე ერია ქარიშხელის ბრაზი	89
ცა და მიწა	90
*** (ძველი ათასწლეულები)	91
პირველმხილველო სამყაროს	92
*** (რომ არ დაამხოს...)	93
*** (ტანზე აცვია ღრუბლების ძონბი)	94
ჩხოროწყუ, ჩხოროდალ, ჩხოროლი	95
არაგვი მცხეთასთან ზამთარში	96
ხილვა: ამძონები	97
ცა როდესაც ჩაახველებს	98
*** (დამის ცით გადმოვლენილი)	99
*** (აღარ უხსნის დანა ზღვას პირს)	100
წინაპრების ლანდები	101
უამი და ბედისწერა	102
*** (მოწყენილი ღრუბლები)	103
ქარიშხალი დამით	104
*** (ამოსვლა უნდა...)	105
გელის ჯოჯოხეთი	106
*** (მოულოდნელად)	107
*** (წუხილი აღარ შორდებათ)	108
*** (ღრუბლები დამის სიმყუდროვეში)	109
*** (სააკაძის მომლოდინებ)	110

*** (ერთი კლდე კი ხერთვისიდან) .....	111
*** (სიცოცხლესთან თავისთავად) .....	112
*** (ვეძებ და თავს მარიდებს).....	113
დამივიწყა დედამ ალბათ .....	114
ტირის ვაზი .....	115
*** (ლამის ტოტზე მამალივით).....	116
*** (ჩაუქრილიათ ათასწლეულებს) .....	117
ვითარცა გორდას .....	118
ვარსპევლავები იძინებენ .....	119
*** (რაც რომ დრო გადის).....	120
*** (დღის მიტოვებულ დამის ცას).....	121
*** (სიჩუმეს გამოპარული).....	122
*** (მიმწუხრისას მუხათგვერდთან).....	123
წინაპართა სული ყივის.....	124
*** (შენი ფიქრის ბადის გაშლას).....	125
*** (სანაპიროზე ვიდაცა მდერის).....	126
*** (იგი ბრმაა და სეტყვის კაკუნით).....	127
კაპარუნია .....	128
*** (მოქათქათე ღრუბლების მატყლს) ....	129
*** (სიყვარული გვეცექება).....	130
*** (ცის ციხე-ქოსექი...) .....	131
*** (ელგა) .....	132
*** (შენს არმაფრენას ვემონე) .....	133

მუცო	134
500 პოეტი – 1985	135
*** (გულ-მკერდ ამობურცულ ტალღას)	136
*** (პირს ვეღარ უხსნის დანა)	137
ბიბლიიდან ისმის ხმები	138
ვიტ კარაველა	139
*** (ღრუბლის ძაღლი ელვის ენას)	140
პეტრიწონი, ბასილი და ათონი	141
შიში – დამოკლეს მახვილი	142
იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი	143
კახეთში	144
გრიგოლ ხანძთელი	145
იქნებ	146
ღრუბლის ყაბალახ შემოხვეული	147
შავ მთას და სინას მთას	148
*** („დავალთ...“)	149
აბიბო ნეკრესელი	150
კოლხეთი, კახეთი	151
მეხუთე საუკუნე	152
მოხუცი იჯდა კერასთან	153
ხანძთაში	154
სიბერის ჟამი ეწვიათ	155
*** (ვილაც ისევ მიამიტობს)	156

ცას და მიწას .....	157
უდაფნო და უსურო .....	158
მგოსნებს და მუტრიბებს .....	159
*** („მზიანი დამე“ წინ უძღვის).....	160
ხმა მესმა გრიგოლ ნოსელის .....	161
ფერფლი .....	162
*** (მზიანი და მზიოთ მოსილი).....	163
*** (წუქს და...) .....	164
ტოპაზმა და ამეთვისტომ .....	165
*** (დაღლილი მზე ზღვაში ჩადის) .....	166
*** (არ ითქმის ცოდვა ადამის) .....	167
ზგირთები .....	168
გიორგი მერჩულე .....	169
*** (სიშორის კლდეს მიკარგულები).....	170
ცათაგან დაუტეველი .....	171
თოლია .....	172
ძველ დღესა და მზიან ღამეს .....	173
წიგნი „აბიბოს წამება“ .....	174
ხულ ნაცნობი ხმა ისმის .....	175
მზის წყვდიადშში ღამენათევს .....	176
ალვის ხე .....	177
სამეგრელოს ბოლო დალაშქვრა .....	178
გვესაუბრება ციონ წყარო .....	179

ჩემო ხორგავ და აწყურო.....	180
სიკვდილმა რომ მოიღვილოს.....	181
წუთისოფლის ხიზანი .....	182
მთვარე ხეს ჩააფრინდა .....	183
*** (მარადიულ შიშით და...).....	184
ტაძარი .....	185
მამულო .....	186
ლიხს აქეთ და ლიხს იქით .....	187
ცა შეძრა აყალ-მაყალმა .....	188
მოჩანს ღრუბელი წუხილად .....	189
იოანე ჭიმ-ჭიმელი.....	190
*** (ცას წვდება მოთქმა).....	191
ალუჩა .....	192
*** (ცას ელვამ თვალი ჩაუკრა).....	193
*** (დამის მინდორს ზვერავს ელვა).....	194
ქარიშხალს ზღვა შემოაკვდა.....	195
ექვთიმე მთაწმინდელი.....	196
*** (სულს უმიზეზოდ...) .....	197
ქვათაყუთები არმაზში .....	198
ტალანტი .....	199
ორი იოანე.....	200
ფეხზე ისევ დგანან მთები .....	201
ბოკაჩოს და რაფაელს.....	202

ქარიშხალი ზღვაზე.....	203
ვაჟა-ფშაველა და ნიკო ფიროსმანი.....	204
კოლხისა და ქიმეთის.....	205
ხუთი იოანე.....	206
*** (მუდამ მოსურნე აყალ-მაყალის).....	207
*** („დოქტორს იერარქიის“) .....	208
მზის და კოლხეთის ასაკის .....	209
სანტიებს და სპირებს.....	210
*** (სამშობლოს ლაჟვარდებისკენ) .....	211
*** (ზეცის ღრუბელია – ოოვლი) .....	212
როცა შენ მომენატრები .....	213
*** (მწუხარმა სოფლის შარაზე) .....	214
უფალო ჩემო!.....	215
გილგამეშს და იშხარას .....	216
*** (ჟამთა ზღვის მღვრიე სიბობოქრეში).....	217
ცა კოსმიური.....	218
ფალოსი.....	219
სატანის ხმა .....	220
*** (ფერდობი ნისლის თმას ივარცხნის).....	221
იცის უფალმა .....	222
*** (ციდან ანგელოზად ჩამოფრენილს).223	

*** (ნისლებს...)	224
იმედი	225
*** (სიკვდილის შავმა დღეებმა)	226
*** (დამის ელვით...)	227
*** (შემოდგომის ცის წვიმით დავარცხნილს)	228
*** (დილით სხვა იყო...)	229
*** (შოორ წარსულიდან გამოქცეული)	230
*** (მზის შვილი და მზით მოსილი)	231
*** (ღვთისთვის, ვით იობმა)	232
*** (ეს ერთმა უფალმა იცის)	233
*** (უკვე არ ახსოვთ დღე დაბადების)	234
ქარდუნია	235
*** (ცად ღრუბელი...)	236
*** (მზეს დაეკარგა სინდის-ნამუსი)	237
ვითარც დემეტრე თავდადებული	238
*** (არ მიიზლაზნვნის ჯოგი ტივების)	239
ქაგხვრელთან	240

D. J. Gammie



2020.6.

ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 80

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 80

- |                     |                              |
|---------------------|------------------------------|
| გამომცემლობის       |                              |
| რედაქტორი           | – რამინ შევებაიძე            |
| მხატვარი            | – სპარსაკ ციცაცაძე           |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე            |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე               |
| კორექტორი           | – ეგა ჭიმშვილაძე             |
| კომპიუტერული        |                              |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დათო ყანდაშვილეანი |
| გამომცემელი         | – ზურაბ დოლგაიძე             |
| ფასი 20 ლარი        |                              |

თბილისი  
2020



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com